აჭარა

გამოცემის 104-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის პარასკევობით

№27 (25.155) 19 ივლისი, 2024 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს ზოგან მოსალოდნელია წვიმა ელჭექით, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო და მთიან რაიონებში - 28-33 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 27 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 756 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს, საღამოსა და ღამით, მოსალოდნელია დროგამოშვებით წვიმა ელჭექით.

ახალ მოედანს გამარჯვება უხდება

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

ბათუმის ახალ მოედანზე ქვიშის ფეხბურთის ევრო ლიგის „ბ“ დივიზიონისა და ბათუმის საერთაშორისო თასის გათამაშება დაიწყო. საქართველოს ნაკრებმა (სხვათა შორის, აქ არაერთი ბათუმელი თამაშობს) ამ მოედანზე პირველი მატჩი ჩაატარა და პირველივე მოიგო

აღნიშნული ტურნირისათვის ბათუმის ბულვარში ქვიშის ახალი სტადიონი აიგო, რომელიც 1300 მაყურებელზეა გათვლილი და ქვიშის ფეხბურთში არსებულ თანამედროვე სტანდარტებს სრულად პასუხობს.

საქართველოს ნაკრებმა პირველ შეხვედრაში ლატვიის ეროვნული გუნდი დიდი ანგარიშით - 6:1 დაამარცხა. ჩვენი გუნდის რიგებში ჰეთ-თრიქი გოჩა მახარაძემ შეასრულა, დუბლი ლევან ფარტენაძის ანგარიშზეა, ხოლო საბოლოო ანგარიშს წერტილი გიორგი ჟორდანიამ დაუსვა.

ბათუმში მიმდინარე ტურნირში შვიდი გუნდი მონაწილეობს. ჯგუფის სამი გუნდი - საქართველო, ლატვია და უნგრეთი ევროლიგის დივიზიონის საგზურისთვის იბრძვიან, ხოლო B ჯგუფის გუნდები - უკრაინა, საუდის არაბეთი, არაბთა გაერთიანებული საამიროები და ლიბანი საერთაშორისო სარეიტინგო ფარგლებში ასპარეზობენ.

ჯგუფებში პირველ და მეორე ადგილზე გასული გუნდები პლეიოფში გააგრძელებენ ასპარეზობას და ბათუმის საერთაშორისო თასის გამარჯვებულსაც გამოავლენენ.

თამაშის დაწყებამდე საზეიმო ცერემონიაზე მაყურებელსა და სპორტსმენებს მიესალმნენ და საინტერესო თამაშები უსურვეს აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძემ, ქალაქ ბათუმის მერმა არჩილ ჩიქოვანმა, ქვიშის ფეხბურთის მსოფლიო ორგანიზაციის ერთერთმა ხელმძღვანელმა ჯოზეფ პონსეტიმ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა დავით მუჯირმა.

- მიხარია, რომ ბათუმი ასეთ მნიშვნელოვან ტურნირს მასპინძლობს, ჩვენი ქალაქი ნამდვილი სპორტის მასპინძელი ქალაქია, - აღნიშნა თორნიკე რიჟვაძემ.

- მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ დღეს საერთაშორისო ტურნირს ვმასპინძლობთ, რაც ყველაზე მთავარია, სამომავლოდ აქ არა მხოლოდ ქვიშის ფეხბურთს, არამედ სპორტის სხვა სახეობებსაც ვუმასპინძლებთ, რაც ფასდაუდებელ საქმეს გაუწევს ქართულ სპორტს, - თქვა არჩილ ჩიქოვანმა.

დავით მუჯირმა მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც აღნიშნული სტადიონის მშენებლობაში წვლილი შეიტანა, მათ შორის აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს (მინისტრი - ჯაბა ფუტკარაძე), აჭარის რეგიონული ფეხბურთის ფედერაციას (პრეზიდენტი - ირაკლი თოთლაძე), საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მთლიან შემადგენლობას, საპლაჟო ფეხბურთის მსოფლიო ასოციაციას, რომლის მხარდაჭერითაც აღნიშნულ მნიშვნელოვან ღონისძიებას მომდევნო ოთხი წელი ჩვენ ვუმასპინძლებთ.

საქართველოს ნაკრები მომდევნო მატჩს დღეს, 19 ივლისს უნგრეთის ნაკრების წინააღმდეგ გამართავს. შეხვედრა 19:00 საათზე დაიწყება.

თამაშები ყოველდღე, 21 ივლისის ჩათვლით, გაიმართება.

ბათუმში სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის დაარსებიდან 30 წლის იუბილე აღინიშნა

მანანა ტაკიძე 577 10 15 17

სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსმა, გენერალ-ლეიტენანტმა ანზორ ჩუბინიძემ, აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძესთან ერთად, აჭარის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებს სამსახურის დაარსებიდან 30 წლის იუბილე მიულოცა.

- სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის დაარსებიდან 30 წელი გავიდა. ვულოცავ სამსახურის ხელმძღვანელობას, თითოეულ თანამშრომელს სამსახურის 30 წლის იუბილეს. სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურს დიდი წვლილი აქვს შეტანილი ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოების მშვიდობიანი, დემოკრატიული განვითარების პროცესში. მადლობა ღირსეული, თავდადებული სამსახურისთვის, - უთხრა მათ თორნიკე რიჟვაძემ.

ბათუმში გამართულ შეხვედრას აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე და ქალაქ ბათუმის მერი არჩილ ჩიქოვანი ესწრებოდნენ. ღონისძიებაზე წარმატებული თანამშრომლები მედლებითა და სიგელებით დაჯილდოვდნენ.

სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური 1994 წელს დაარსდა. ამჟამად უწყება 13 სტრუქტურულ ერთეულს და 2 საჯარო სამართლის იურიდიულ პირს აერთიანებს. სამსახურის ძირითადი საქმიანობა უმაღლესი თანამდებობის პირების, კრიტიკული მნიშვნელობის სახელმწიფო ობიექტებისა და ქვეყანაში ვიზიტად მყოფი უცხო ქვეყნის პირველი პირების დაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფაა.

ISSN 2720-8702

9 772720 870003

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

დარეკეთ «აჭარის» რედაქციაში - ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია თქვენი მოსაზრება! - 27-48-93

საარჩევნო ბრძოლა და პოლიტიკური გაერთიანებები

თამარ ლამპარაძე 595 85 80 06

„მშვიდობით, ღირსებით და კეთილდღეობით ევროპისკენ“ - „ქართული ოცნება“ არჩევნებში მეოთხედ გამარჯვებისთვის ემზადება. მმართველმა პარტიამ საარჩევნო კამპანია ოფიციალურად დაიწყო. გუნდის წევრებმა ახალ გეგმებზე ახალი ოფისიდან ისაუბრეს. „ქართული ოცნების“ ლიდერებმა 16 ივლისს ორთაჭალაში, გორგასლის №20-ში, ახლად აშენებულ შენობაში გახსნეს 2024 წლის საარჩევნო კამპანია.

შეკრებაზე პარტიის საპატიო თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილმა საზოგადოებას სიტყვით მიმართა და აღნიშნა, რომ „ქართული ოცნება“ საკონსტიტუციო უმრავლესობით გაიმარჯვებს. მან, ასევე, ისაუბრა „ომის პარტიის“ ლიბერალური ფაშიზმის დამარცხებაზე, ხაზი გაუსვა პოლიტიკური პერსონების გასამართლებასაც და თქვა, რომ არჩევნების შემდეგ ყველა გასამართლდება ყოფილი ხელისუფლებიდან, ვისაც წვლილი მიუძღვის ტერიტორიის დაკარგვასა და ქვეყნის გაჩანაგებაში.

„კოლექტიური „ნაციონალური მოძრაობისა“ და მისი მფარველებისთვის ესაა ბოლო გაბრძოლება საქართველოში არეულობის შემოსატანად და მეორე ფრონტის გასახსნელად. „ქართული ოცნებისთვის“ ეს არის გადამწყვეტი ბრძოლა საქართველოში მშვიდობის საბოლოოდ განსამტკიცებლად, გარედან ხელოვნურად თავს მოხვეული რადიკალიზმისა და პოლარიზაციის დასასრულებლად, სიმშვიდის, სტაბილურობისა და ეკონომიკური წინსვლის შესანარჩუნებლად, ეროვნული ღირსების დასაცავად და ამ ყველაფრის შედეგად, საქართველოს ევროპული პერსპექტივის შესანარჩუნებლად“, - განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა სიტყვით გამოსვლისას.

ივანიშვილმა ისაუბრა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასა და საგარეო პოლიტიკის სწორ კურსზე. მისივე თქმით, საქართველოს ჩინეთთან პარტნიორობას აშშ-ისა და ევროპის ალტერნატივად არ განიხილავს. მისთვის ევროპული გზა და მომავალი უალტერნატივოა.

„ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, რომ წელს მმართველი პარტია ქართველ ხალხთან ერთად დამაჯერებელ გამარჯვებას იზეიმებს და, როგორც ყოველთვის, ქვეყნის გაერთიანებაში ბიძინა ივანიშვილის როლიც გაიხსენა.

„სიმბოლურია, რომ დღეს, წინასაარჩევნო კამპანიის გახსნისას, ჩვენ გვერდით არის ადამიანი, რომელმაც ჩვენი ქვეყნის უახლეს ისტორიაში, უნდა ვთქვათ პირდაპირ, გადამწყვეტი როლი და ისტორიული მისია შეასრულა, როდესაც ყველაზე რთულ დროს, სრული უიმედობისა და უპერსპექტივობის ჟამს, დიქტატურისა და ხალხის მჩაგვრელი რეჟიმის პირობებში, ერთ ძლიერ გუნდად საერთო მიზნისთვის გაგვაერთიანა და 2012 წლის პირველ ოქტომბერს საქართველო გადაარჩინა“, - განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ აღნიშნა, რომ „ქართული ოცნება“, სულ მცირე, 12 წელიწადი არცერთ არჩევნებში დამარცხებას არ აპირებს.

შეხვედრაზე, ასევე, სიტყვით გამოვიდნენ თბილისის მერი კახა კალაძე, „ქართული ოცნების“ აღმასრულებელი მდივანი მამუკა მდინარაძე, პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი.

ოპოზიციაშიც პოზიციები არ იცვლება. აქ კვლავ აღნიშნავენ, რომ „ქართული ოცნება“ ოქტომბრის არჩევნებში დამარცხდება და აზრი არ აქვს მათი მხრიდან არც საარჩევნო კამპანიას და არც დაპირებებს, რადგან იგივე დაპირება ბიძინა ივანიშვილმა ქართველ ხალხს წლების წინ მისცა, თუმცა არ შეასრულა.

აღსანიშნავია ისიც, რომ პარტია „ქართული ოცნება“ და „ხალხის ძალა“ გაერთიანდნენ. ისინი 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში ერთიანი სიით მიიღებენ მონაწილეობას.

ოპოზიციაში ამბობენ, რომ ორივე პარტია ისედაც ერთი იყო და ეს საზოგადოებისთვის მხოლოდ თვალში ნაცრის შეყრაა.

„ქართულ ოცნებას“ ყოველთვის ახასიათებს იმიტაცია. მაგალითად, კოალიციური იმიტაციაა, რომ თითქოს „ხალხის ძალა“ მათი პარტნიორია, სინამდვილეში კი კარგად ვიცით, რომ მათი გუნდის წევრები არიან. უბრალოდ, ამ ხალხისთვის გარანტია აქვთ მიცემული, რომ თავიდან უნდა შეიყვანონ პარლამენტში, რადგან ცალკე ვერ შევლენ, ხმები არ ეყოფათ. „ქართულ ოცნებას“ ამ ქვეყანაში აღარ დარჩა პარტნიორი, მას აღარ დარჩა იმის ძალა, რომ კოალიცია ჩამოაყალიბოს და მას ხელისუფლებაში დასარჩენად აღარავინ დაეხმარება“, - განაცხადა პარტია „ახალის“ წევრმა გიორგი იმედაშვილმა.

„გამჭვირვალობის კანონი“ ამ კვირაშიც აქტუალური თემა და განხილვის საგანია. „ქართულმა ოცნებამ“ გამოაქვეყნა კვლევა, რომელიც თავად პარტიამ ჩაატარა. როგორც „ქართული ოცნების“ დეპუტატმა გივი მიქანაძემ განაცხადა, კვლევის ანგარიში არის 12 ივლისის მდგომარეობით და ეხება არასამთავრობო და მედიაორგანიზაციების გამჭვირვალობის საკითხს. როგორც მიქანაძემ აღნიშნა, მმართველმა პარტიამ საზოგადოებას წარუდგინა საბაზისო კვლევა, რომელიც მოიცავს ძირითად მონაცემებს იმის შესახებ, თუ რამდენად გამჭვირვალეა ის 474 ორგანიზაცია, რომლებიც „გამჭვირვალობის კანონის“ მიღებას ეწინააღმდეგებოდა.

კვლევიდან გამომდინარე, არასამთავრობო ორგანიზაციები 7 საბაზო კრიტერიუმით შეამოწმეს: აქვს თუ არა ორგანიზაციას ვებგვერდი, მითითებული აქვს თუ არა დონორი ორგანიზაციის შესახებ ინფორმაცია ან მისი ლოგო, პროექტები, რომლებიც განხორციელებულია ან მიმდინარეა, არის თუ არა საჯარო, რამდენია გრანტის ოდენობა, რაც მათ თითოეულ პროექტზე აქვთ მიღებული, რა ხანგრძლივობის არის პროექტი და გრანტი, აქვთ თუ არა გამოქვეყნებული საქმიანობის შესახებ წლიური ანგარიში და ვინ შედის ამ ორგანიზაციის გუნდში.

კვლევის შედეგების თანახმად: ორგანიზაციების 51%-ს არ გააჩნია ოფიციალური ვებგვერდი; 62%-ს არ აქვს მითითებული დონორის დასახელება/ლოგო; 68%-ს არ აქვს მითითებული პროექტების დასახელება; ორგანიზაციების 97%-ს არ აქვს განთავსებული წლიური ანგარიში; 70%-ს არ აქვს მითითებული ინფორმაცია გუნდის შესახებ.

საპასუხოდ, არასამთავრობო სექტორი მმართველი გუნდის კვლევას ტყუილს უწოდებს.

„მათი პროპაგანდის კიდევ ერთი ხაზი ამ ტყუილზე გადის. ეს ყველაფერი კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ საზოგადოების შეცდომაში შეყვანას ცდილობენ და რაღაც ფორმით იმის გამართლებას, რომ თითქოს, ამ კანონის („უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“) მიღება ლეგიტიმური იყო, რაც სრულიად მცდარი, არსებულ რეალობასთან აცდენილია“, - განაცხადა „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ თავმჯდომარე ნონა ქურდოვანიძემ.

ამასთან, 121-მა არასამთავრობო ორგანიზაციამ „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის წინააღმდეგ საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელი შეიტანა. არასამთავრობო ორგანიზაციები მიმართავენ სასამართლოს შუამდგომლობით, რომ დროებით შეჩერდეს კანონში არსებული სადავო ნორმების მოქმედება.

გარდა ამისა, ისინი სარჩელს ამზადებენ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში წარსადგენად.

„კონსტიტუციური სარჩელი კიდევ ერთხელ ნათლად ადასტურებს, რომ სადავო კანონი ზღუდავს მოქალაქეთა უფლებას, გაერთიანდეს საერთო მიზნის მისაღწევად ქვეყნისთვის სასიკეთო საქმის საკეთებლად და ადამიანების დასახმარებლად“, - აღნიშნა IDFI-ის კანონის უზენაესობის და მედიის თავისუფლების მიმართულების ხელმძღვანელმა გიორგი დავითურმა.

ოპოზიციურ სპექტრში გაერთიანებები კვლავ გრძელდება, რაც მოსალოდნელიც იყო. პარტია „ლელომ“ არჩევანი გააკეთა და ბული ინფორმაცია გუნდის შესახებ.

ანა დოლიძის პარტიასთან „ხალხისთვის“ და ლევან ცუცქირიძის საზოგადოებრივ მოძრაობასთან „თავისუფლების მოედანი“ გაერთიანდა, თუმცა გაერთიანება, დიდი ალბათობით, ამით არ დასრულებულა, რადგან „ლელოს“ ლიდერმა მამუკა ხაზარაძემ აღნიშნა, რომ მოლაპარაკებები სხვადასხვა პარტიასთან მიმდინარეობს.

„იქნება უფრო დიდი გაერთიანება, მიმდინარეობს მოლაპარაკებები სხვადასხვა ოპოზიციურ პარტიასთან და უახლოეს მომავალში კიდევ უფრო გაფართოებულები წარვსდგებით საზოგადოების წინაშე“, - განაცხადა მამუკა ხაზარაძემ.

აღნიშნულ გაერთიანებაზე „ლელოს“ ბათუმის ორგანიზაციის წევრი ვაჟა დარჩია გვესაუბრა.

„გაერთიანება ოპოზიციურ ველზე გამორჩეულია, რადგან მისი მისამართით არ არსებობს კითხვები წარსულზე, „თავისუფლების მოედანი“ არის ორგანიზაცია, რომელიც წლების მანძილზე მუშაობს ამ ქვეყანაში მოქალაქეების გაძლიერებასა და მრავალპარტიული დემოკრატიის შექმნა-განვითარებაზე, ხოლო ანა დოლიძის ბრძოლა ყველას გვახსოვს იუსტიციის საბჭოში. ეს ადამიანი, ფაქტობრივად, მარტო უპირისპირდებოდა და ამხელდა მთელ ინსტიტუტს. გარდა ლიდერებისა, მნიშვნელოვანია გუნდები, სადაც ნათლად ჩანს საქმისადმი დამოკიდებულება, პროფესიონალიზმი და პატრიოტიზმი, რათა რუსული ხელისუფლება აღარ ჰყავდეს ამ ქვეყანას. გპირდებით, რომ ჩვენი ერთობა, რომელიც ჯერ კიდევ ზრდის, საინტერესო პოლიტიკური ჯგუფებისა თუ ინდივიდების შემომატების რეჟიმზეა, იქნება გადამწყვეტი „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ ბრძოლაში“, - გვითხრა ვაჟა დარჩიამ.

ქრონიკა

ბათუმის ბულვარი ზაფხულის ტურისტულ სეზონს განახლებული ინფრასტრუქტურით ხვდება. სამუშაოები აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძემ, აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრ ჯაბა ფუტკარაძესთან და ბათუმის მერ არჩილ ჩიქოვანთან ერთად დაათვალიერა. აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ინფორმაციით, დასკვნით ეტაპზეა საერთაშორისო სტანდარტების სკეიტპარკი, განახლდა სტიქიის შედეგად დაზიანებული ბულვარის პრომენადის ნაწილი, ნაპირსამაგრი სამუშაოები განხორციელდა და მიმდინარე წელსაც გაგრძელდება, ბათუმის ბულვარში ქვიშის ფეხბურთის ახალი სტადიონი აშენდა, ბულვარის ტერიტორიაზე თანამედროვე სტანდარტების ველობილიკი მოეწყო, სანაპირო ზოლზე ადაპტირებული ბილიკები, წყლის შადრევნები განთავსდა, ორ ლოკაციაზე სრულად განახლდა ინფრასტრუქტურა შშმ პირთათვის.

* * *

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ შამუგია, აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრ ზაზა შავაძესთან ერთად, ქედაში, სოფელ წონიარისში მდებარე კალმახის საინკუბაციო საამქროში იმყოფებოდა, რომელიც ორგანული აკვაკულტურის განვითარების ასოციაცია „ფორეჯს“ ეკუთვნის. „საქართველოს აკვაკულტურის განვითარების დიდი პოტენციალი აქვს. ჩვენი მიზანია, მაქსიმალურად შევუწყოთ ხელი ამ პროცესს. უკვე გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები. პირველ რიგში, ეს იყო კანონის მიღება, რომელიც გასულ წელს ამოქმედდა. განვახორციელეთ არაერთი რეფორმა და რეგულაცია, რომლის შედეგადაც, დღეისათვის, შეფერხებების გარეშე შეგვიძლია გავიტანოთ შავი ზღვის თევზი და თევზის პროდუქტები ევროკავშირის ბაზარზე. ჩვენ ვაგრძელებთ ამ პროცესს. შემუშავებული გვაქვს სტრატეგია და სამოქმედო გეგმა აკვაკულტურის განვითარების შესახებ, სადაც გაწერილია მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში რა ქმედებები და ღონისძიებები უნდა გატარდეს, რაც გავაცანით დარგის წარმომადგენლებს და ასოციაციებს და ველოდებით მათგან ქმედით წინადადებებს. სახელმწიფო მზადაა, მეწარმეებს მხარი დაუჭიროს, რომ მომავალში ქვეყანაში წარმოება გაიზარდოს და სტანდარტები ევროპული მოთხოვნის შესაბამისი გახდეს“, - განაცხადა ოთარ შამუგიამ.

* * *

სარფის, კვარიათის, გონიოს, ახალსოფლისა და ვარშანიძის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიებზე წყალარინების ქსელისა და სატუმბი სადგურების მშენებლობა-რეაბილიტაცია დაიწყო. მიმდინარე სამუშაოებს ბათუმის მერი არჩილ ჩიქოვანი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ტიტე არაშიძესთან, ბათუმის მაჟორიტარ დეპუტატთან საქართველოს პარლამენტში რესან კონცელიძესთან და ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარე რამაზ ჯინჭარაძესთან ერთად გაეცნო. ბათუმის მერიის განცხადებით, განახლებული ქსელით 50 000 ოჯახი ისარგებლებს. პროექტი 2025 წელს დასრულდება, რისთვისაც 10 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯება.

* * *

ბათუმის მერიაში საკადრო ცვლილებები განხორციელდა. ვიცე-მერის ლევან დავითაძის ადგილი, რომელიც სოფლის მეურნეობის სამინისტროში მინისტრის მოადგილედ დაინიშნა, მერიის აპარატის უფროსმა ნუკრი დეკანაძემ დაიკავა. ნუკრი დეკანაძე ბათუმის მერიაში 2012 წლიდან მუშაობს, მანამდე ის აჭარის მთავრობის აპარატში მუშაობდა.

* * *

აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრმა ზაზა შავაძემ თანამშრომლებს ახალი მოადგილე ლევან დავითაძე წარუდგინა. ლევან დავითაძე პროფესიით ეკონომისტია და საჯარო სამსახურში 10-წლიანი გამოცდილება აქვს. აღნიშნულ თანამდებობაზე დანიშვნამდე ბათუმის ვიცე-მერის თანამდებობა ეკავა. როგორც მინისტრმა აღნიშნა, გამოცდილება, პროფესიონალიზმი, საქმისადმი ერთგულება, საზოგადოებისათვის სასარგებლო საქმიანობაში ჩართულობა ის კრიტერიუმებია, რომლის მიხედვითაც ახალი მოადგილე შეირჩა.

* * *

შუახევის მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებები აქტიურად მიმდინარეობს. წელს ფერდსამაგრი კედლების მოწყობა დაგეგმილია 65-ზე მეტ ტერიტორიაზე, რისთვისაც ადგილობრივი ბიუჯეტიდან 1 805 018 ლარამდე დაიხარჯება. სამუშაოები ერთდროულად რამდენიმე სოფელში მიმდინარეობს, ზოგან უკვე დასრულდა. 10-ზე მეტ პროექტზე გამოცხადებულია კონკურსი, პარალელურად, ხორციელდება პროექტების შესყიდვა, რომლებიც კონკურსების დასრულებისა და პროცედურების გავლის შემდეგ შესრულდება. დაბა შუახევში რუსთაველის ქუჩაზე გაკეთდა ფერდსამაგრი კედელი და მიმდინარეობს სანიაღვრე არხის მოწყობა. ასევე, დაგეგმილია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის შეცვლა და გარე ფასადის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რაზეც კონკურსი უკვე გამოცხადებულია. სოფელ ნიგაზეულში, პროექტის ფარგლებში, ფერდსამაგრი კედლის ამოყვანის სამუშაოები დასრულდა.

ბათუმის ბიუჯეტი 7 მილიონი ლარით გაიზარდა

მანანა ტაკიძე 577 10 15 17

ლეონიძის ქუჩაზე, ბსუ-ის სტუდენტურ საერთო საცხოვრებელზე სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოების დროს 17 წლის მოზარდის დაღუპვის ფაქტის შეფასებებით დაიწყო დღეს ბათუმის საკრებულოს სხდომა. დეპუტატების ნაწილმა კონტროლის გამკაცრების აუცილებლობაზე ისაუბრა, ნაწილმა კი უბედური შემთხვევის გამო, გარდაცვლილის ოჯახისა და სამუშაოების მწარმოებელი კომპანიის პასუხისმგებლობაზე გაამახვილა ყურადღება, რასაც აზრთა სხვადასხვაობა და შელაპარაკება მოჰყვა

ოპოზიციამ მუნიციპალიტეტის მხრიდან ქაოსური მშენებლობისთვის ხელის შეწყობასა და ინვესტორებისთვის მუდმივად მზარდ K2 კოეფიციენტზე გააკეთა აქცენტი. ხმაური და შელაპარაკება მოჰყვა ნატალია ძიძიგურის განცხადებას ქალი დეპუტატების მიმართ ბოლო დროს გახშირებულ ბულინგთან დაკავშირებითაც...

ბათუმის მიმდინარე წლის ბიუჯეტი 7 მილიონი ლარით გაიზარდა და 457 მილიონი ლარი შეადგინა. კორექტირებული ბიუჯეტის პროექტი საკრებულომ დღევანდელ სხდომაზე დაამტკიცა. მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროს ედნარ ნატარიძის განცხადებით, გაზრდილი ბიუჯეტიდან 6 მილიონ 439 ათას 800 ლარი ინფრასტრუქტურის მიმართულებით გადანაწილდა.

- ცვლილება ხორციელდება ბიუჯეტის როგორც შემოსულობებში, ასევე, გადასახდელების ნაწილში, ცალკეულ პროგრამებსა და ქვეპროგრამებში ინფრასტრუქტურის, განათლების და ჯანდაცვის მიმართულებით. ეს, გარკვეულწილად, ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური პროცესებით არის განპირობებული და ჩვენც მოგვეცა შესაძლებლობა, რომ საკუთარი შემოსავლების ზრდის ხარჯზე ქალაქის ბიუჯეტი კიდევ ერთხელ გაგვეზარდა. გაზრდილი ბიუჯეტიდან უმეტესი ნაწილი ინფრასტრუქტურული მიმართულებით გადანაწილდა. გათვალისწინებულია ახალი პროექტები, კერძოდ, ენვერ ხაბაძის, გენერალ გიორგი კვინიტაძის, ნევრესტან შაშიკაშვილის ქუჩების კეთილმოწყობა, სპორტული მოედნის მოწყობა ივანე ჯავახიშვილის ქ. №82-ის მიმდებარედ, სკვერის მოწყობა 26 მაისის ქ. №10-ის, ფრიდონ ხალვაშის გამზირის №320-ის მიმდებარე ტერიტორიებზე. იგეგმება ცენტრალური პარკის შესასვლელში არსებული კოლონადების რეაბილიტაცია-რესტავრაცია. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, დაფინანსდება ახალი ღონისძიებები. შეიცვლება მრავალბინიანი სახლების სადარბაზოში არსებული ამორტიზებული ვიტრაჟები... არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ მუნიციპალიტეტმა შეძლო ჯანდაცვისა და სოციალური მიმართულებებით პროგრამების გაზრდა. გაიზარდა მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამით მოსარგებლეთა რიცხვიც, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი მოსახლეობისთვის.

დღეისათვის ქალაქის ბიუჯეტი 457 მილიონი ლარია, იმედს ვიტოვებთ, წლის ბოლომდე ისევ მოგვეცემა მისი გაზრდის შესაძლებლობა, - განაცხადა ედნარ ნატარიძემ.

საკრებულოზე მიღებული გადაწყვეტილებით, ცვლილება შეეხო ააიპ „ბათუმის სპორტული ცენტრის“ დაფინანსებასაც, კერძოდ, იქმნება სუბსიდირების მუხლი, სადაც ასახული იქნება ახალი ღონისძიება სახელწოდებით „ქვიშის საერთაშორისო ჩემპიონატის ღონისძიების ჩასატარებლად თანამონაწილეობა“.

საკრებულომ დაამტკიცა ქალაქ ბათუმში, ანგისის ქ. N24-ში; ანგისის I ჩიხის №2, №4, №4ა, №4ბ-ში, კობალაძის ქ. №18-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე განაშენიანების დეტალური გეგმა, რომლის მიხედვითაც აღნიშნულ ტერიტორიაზე შპს „ემ ბილდინგ ბათუმმა“ მრავალფუნქციური კომპლექსი უნდა ააშენოს.

ავარიული შენობების ჩანაცვლების მიზნით დამტკიცდა შპს „ბივისის“ მიერ წარმოდგენილი მრავალბინიანი საცხოვრებელი შენობის განაშენიანების დეტალური გეგმა ქ. ბათუმში მდებარე მიწის ნაკვეთებზე, ასევე, ბათუმში, გრიბოედოვის ქ.№62-ში, გრიბოედოვის ქ. N64, N64ა-ში მდებარე დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულების მიზნით, შპს „ჯბს“ - ისა და შპს „გთემ კონსტრაქშენ“-ისთვის დროებითი ხელშემწყობი ღონისძიებები.

საკრებულომ განსაზღვრა გარე რეკლამის განთავსების ნებართვის აუქციონზე გაცემის საწყისი ფასი, აუქციონის პირობები და დაადგინა მისი ჩატარების პროცედურა. ასევე, დაამტკიცა ცვლილებები მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხასა და პრივატიზაციის გეგმაში.

საკრებულოს გადაწყვეტილებით, ქართული სახვითი ხელოვნების წარმომადგენლის, პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწეს სიმონ ართმელაძისა და მწერლისა და პუბლიცისტის ჯემალ ჯაყელის მემორიალური დაფები განთავსდება ბათუმში, მათ საცხოვრებელ სახლებზე.

ტურიზმი

გეპატიჟებით აჭარაში

ხატია იაშვილი 555 18 48 88

აჭარაში საზაფხულო ტურისტული სეზონი აქტიურ ფაზაშია. ჩვენს რეგიონს უკვე უამრავი დამსვენებელი სტუმრობს

ადრე თუ მხოლოდ შავი ზღვის სანაპირო იყო რელაქსაციის და სიამოვნების ადგილი, ახლა მაღალმთიან რეგიონებში მრავალი გასართობია, მათ შორის ექსტრემალური სპორტის მოყვარულებისათვის, აქვე, ბათუმიდან 25 კილომეტრში, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კაპნისთავში გაიხსნა ექსტრემალებისთვის კანიონი, სადაც 8 ჩანჩქერის მონახულება შეგიძლიათ. ყველაზე მაღალი ჩანჩქერი აქ 40 მეტრია.

„მთლიანი კანიონი 600 მეტრია. გვაქვს კანიონინგი, ეს არის ექსტრემალური ტურიზმის ერთ-ერთი სახეობა, რომელიც ყველას დიდ სიამოვნებას ანიჭებს. ზოგადად, საქართველო განთქმულია თავისი ულამაზესი მთებით, წყალუხვი მდინარეებით და ბუნებით, ეს კი კანიონინგისთვის ხელსაყრელი გარემოა. აქ ვმუშაობთ გადამზადებული გიდები, რომლებიც ტურისტებს უსაფრთხო გადაადგილებაში ვეხმარებით“, - ამბობს კანიონის გიდი გიორგი მეგრელიძე.

აჭარა რომ უკვე აღარ არის მხოლოდ საზღვაო ტურისტული მიმართულება, ამაზე საუბრობს აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის უფროსი თინათინ ზოიძე. მისი თქმით, ვიზიტორებს უკვე აქვთ შესაძლებლობა, რეგიონში 25-ზე მეტ სხვადასხვა ლოკაციაზე გაერთონ.

„ჩვენი რეგიონი ვიზიტორებს მრავალფეროვან შესაძლებლობებს სთავაზობს როგორც შავი ზღვის სანაპირო ზოლზე, ასევე, მთიან მუნიციპალიტეტებში. აჭარის რეგიონი შიდა ტურიზმის თვალსაზრისით, ყოველთვის საინტერესოა. კამპანიის „გამომყევი აჭარაში“ საშუალებით, გვინდა ვაჩვენოთ ყველას, რომ აქ ჩამოსვლა საინტერესოა ოთხივე სეზონის განმავლობაში. კამპანია არის ძალიან წარმატებული. მის ფარგლებში, 33 ტურისტულ ადგილს აშუქებენ ადგილობრივი ბლოგერები, ინფლუენსერები და კონტენტ კრეატორები. კამპანიის ჯამურმა წვდომამ 100 მილიონს უნდა გადააჭარბოს. შარშან საქართველოს მოსახლეობამ მაღალმთიან აჭარაში მდებარე ძალიან ბევრი ადგილი გაიცნო. ჩვენი მიზანიც ეს იყო - განსხვავებული აჭარა გვეჩვენებინა მათთვის, ვისაც მთაში მოგზაურობა უყვარს. პროექტმა გაამართლა. აჭარის რეგიონს ყოველწლიურად 2 მილიონამდე შიდა ვიზიტიორი სტუმრობს და ვფიქრობთ, ახალ სტრატეგიულ გეგმას, რომლის მიხედვითაც აჭარა ოთხსავე სეზონზე საინტერესო ადგილად გვინდა ვაქციოთ, შევასრულებთ. შიდა ტურიზმის განვითარებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ადგილობრივი ბლოგერებისა და ინფლუენსერების ჩართულობა. წლევანდელ კამპანიაში მონაწილეებს წარმატებას და ახალი, საინტერესო აჭარის წარმოჩენას ვუსურვებ“, - აღნიშნა თინათინ ზოიძემ.

ბათუმში დასვენება არა მარტო ზაფხულის ცხელ პერიოდში, არამედ გაზაფხულისა და შემოდგომის თბილ დღეებშიც არანაკლებ მიმზიდველია. მაისის პირველივე რიცხვებიდან შესაძლებელი იყო ზღვაზე ბანაობა და გარუჯვა. კიდევ უფრო სასიამოვნოა ზღვაზე დასვენება სექტემბერ-ოქტომბერში, რომელსაც „ხავერდოვან სეზონს“ ვუწოდებთ. გარდა ზღვაზე დასვენებისა, შეგიძლიათ მოინახულოთ და დატკბეთ მთიანი აჭარით. პლაჟიდან სულ რამდენიმე საათში შესაძლებელია, აღმოჩნდეთ ზღვის დონიდან 2.000-2.500 მეტრ სიმაღლეზე და დაუვიწყარი პეიზაჟებით დატკბეთ. რაც ყველაზე მეტად ხიბლავს აქ ჩამოსულ ტურისტს, ეს არის მთისა და ზღვის შერწყმულ ჰავასთან ერთად, ბუნების ლამაზი ხედები და მშვიდი გარემო.

ბათუმთან ყველაზე ახლოს მდებარე ბოტანიკურ ბაღში ზაფხულის ცხელი დღეებისგან „გაქცევა“ ყველაზე სასიამოვნო თავგადასავალია. ბაღის მარკეტინგული განყოფილების უფროსის თამუნა ორაგველიძის თქმით, აქ ნახავთ მთელი დედამიწის სუბტროპიკულ ფლორას.

„ჩვენი ბაღი 111 ჰექტარზეა გაშენებული. აქ მოსული ვიზიტიორი გაეცნობა ისტორიას, რომელიც ოფიციალურად, 1912 წლიდან იწერება. ბოტანიკურ ბაღში 3,5-კილომეტრიანი ცენტრალური მარშრუტი შეგიძლიათ ელექტრომობილით დაფაროთ, თუ საწყის ეტაპზე, ფეხით სიარული არ შეგეჯვარებიათ. მალე მიხვდებით, რომ

საფეხმავლო ტური არანაკლებ მნიშვნელოვანია. აქ ერთხელ თუ მოხვალთ, ყოველთვის გექნებათ დაბრუნების სურვილი. ბაღი 9 საათიდან 6 საათამდე მუშაობს. ადგილზე 300-მდე სხვადასხვა სახეობის მცენარის შეძენა შეგიძლიათ, - გვითხრა თამუნა ორაგველიძემ.

ბოტანიკურ ბაღში უკვე შესაძლებელია ზიპლაინით დაშვება. 500 მეტრი სიმაღლიდან ულამაზესი ბუნების დათვალიერება ნებისნიერ ადამიანს შეუძლია.

თუ თქვენ ბუნების და სეირნობის მოყვარული ადამიანი ბრძანდებით, მწვანე კონცხის და მტიერალას ეროვნული პარკის პარალელურად, აუცილებლად უნდა მოინახულოთ გოდერძის ალპური ბოტანიკური ბაღი. იგი ხულოს რაიონში, გოდერძის უღელტეხილიდან 3 კილომეტრში მდებარეობს და ზღვის დონიდან 1960 მეტრზეა. ბოტანიკური ბაღის გასაცნობად საუკეთესო პერიოდია მაისიდან ოქტომბრის ჩათვლით. ბაღში გაშენებულია ალპური და სუბალპური ზონისთვის შესაბამისი და დამახასიათებელი მცენარეულობა, რომელიც დაახლოებით 10 ჰექტარზეა გადაჭიმული. თავად პარკში ბუნებრივად იზრდება და ხარობს 161 სახეობის მცენარე. პარკში მოწყობილია სხვადასხვა სივრცე, სალაშქრო თუ საპიკნიკე ტიპის ადგილები. ბაღი დაყოფილია ტბის, ჭაობის, წყაროს ზონებად. არის სანერგე, ასევე საფუტკრე ზონა, სადაც თანამედროვე სკების პარალელურად, ჯარას თაფლიც მოიპოვება, რომელიც უნიკალური და მაღალი ხარისხის ორგანული პროდუქტია და ზედა აჭარაშია შემორჩენილი.

ხულოს მუნიციპალიტეტში, გოდერძის უღელტეხილთან ახლოს, სულ რაღაც 6 კილომეტრში, ზღვის დონიდან 2058 მეტრ სიმაღლეზე მწვანე ტბა მდებარეობს. სუბალპურ ზონაში ულამაზესი ხედები დაგხვდებათ გაზაფხულიზაფხულის პერიოდში. ტბის სახელწოდებიდან გამომდინარე, ადგილი მისახვედრია, რომ ტბას მწვანე ელფერი დაჰკრავს. მწვანე ტბა იდეალური ადგილია ლაშქრობის მოყვარულთათვის, ასევე, საპიკნიკე გასვლებისთვის.

თუ ექსტრემის მოყვარული ბრძანდებით, მაშინ შეგიძლიათ თაგოს საბაგიროთიც გაისეირნოთ, რომელიც ასევე, ხულოს რაიონში მდებარეობს და სოფელ თაგოს ხულოს რაიონულ ცენტრთან აკავშირებს. საბაგირო გზის სიგრძე 1720, ხოლო სიმაღლე 280 მეტრია.

ეს საბაგირო, ძირითადად, ადგილობრივებისთვის გზის შემოკლების ერთ-ერთი საშუალებაა, თუმცა ადრენალინის და ექსტრემის მოყვარულებს არანაკლებ აინტერესებთ.

ბათუმიდან 28-30 კილომეტრითაა დაშორებული მირვეთის ჩანჩქერი, რომელიც ქედის მუნიციპალიტეტში მდებარეობს. ზაფხულის ცხელ დღეებში ეს მშვენიერი ადგილია გასაგრილებლად და შთამბეჭდავი სანახაობისთვის. ჩანჩქერთან დაგუბებულ მდინარეში შესაძლებელია ცურვა, ველომოყვარულებს კი მირვეთში მოკლე, მაგრამ ლამაზი ველომარშრუტიც დახვდება.

ქედაში ყოფნისას, ერთ-ერთი აუცილებლად მოსანახულებელი ადგილი მეძიბნას ჩანჩქერია. ის ქედიდან 7 კილომეტრით მოშორებულ სოფელ მეძიბნაში მდებარეობს და მის უნახავად წამოსვლა ნამდვილად დანაშაულია. ეს არის დიდი, წყალუხვი და ძლიერი ჩანჩქერი, რომელიც ნამდვილად წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს ტურისტებზე. ამ სილამაზის ფონზე არაჩვეულებრივი ფოტოების გადაღებაა შესაძლებელი, რომ აღარაფერი ვთქვათ ზემო აჭარისთვის დამახასიათებელ ბუნებასა და საოცარ სილამაზეზე.

ეს არასრული ჩამონათვალია იმ საოცარი ადგილებისა, რომლებსაც ჩვენს რეგიონში ადგილობრივი და ჩამოსული ტურისტი ნახავს. რაც მთავარია, ყველგან სტუმართმოყვარე მასპინძელი და უგემრიელესი ქართული სამზარეულო დაგხვდებათ.

„გირჩი – მეტი თავისუფლება“ კოალიციურ მთავრობას პროგნოზირებს

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

საპარლამენტო არჩევნებამდე რამდენიმე თვე დარჩა და რა გასაკვირია, რომ პოლიტიკური დაპირისპირება ქვეყანაში გადამწყვეტ ფაზაში შედის: პარტიების წარმომადგენლები მოსახლეობას ხვდებიან და თავიანთი თვალსაწიერიდან სხვადასხვა შეხედულებას აცნობენ ქვეყნის განვითარების თაობაზე, რასაც ემატება კონფრონტაცია მმართველ გუნდსა და ოპოზიციას შორის. ხელისუფლება ოპოზიციის ნაწილს „კოლექტიურ ნაცმოძრაობას“ უწოდებს და სახელმწიფოსთვის საზიანო ქმედებებშიც ამხელს, ოპოზიციონერები კი მმართველი პარტიის წევრებს მოღალატეებად მოიხსენიებენ

*ეს არაა გასაკვირი, მაგრამ გასაოცარია ოპოზიციის გათიშულობა და, ხშირ შემთხვევაში, ურთიერთდაპირისპირება. ეს ხელისუფლების წისქვილზე ასხამს წყალს. ასე თუ ისე, ერთი რამ უდავოა: წლევანდელი არჩევნები გამოწვევაა ქვეყნისთვის იქიდან გამომდინარე, რომ ადგილობრივმა და, განსაკუთრებით, 2020 წლის არჩევნებმა (ოპოზიციის აზრით) გარკვეული კითხვის ნიშნები გააჩინა, ამიტომაც გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ 26 ოქტომბრის არჩევნებზე დიდადაა დამოკიდებული ჩვენი ქვეყნის მომავალი. ამ და სხვა აქტუალურ საკითხებზე „გირჩი - მეტი თავისუფლების“ აჭარის ორგანიზაციის ხელმძღვანელ **თემურ გორგიძეს** ვესაუბრეთ.*

- ვიდრე ბოლოდროინდელ მოვლენებზე ვისაუბრებდეთ, საინტერესოა, როგორ შეაფასებთ ქვეყანაში არსებულ მდგომარეობას?

- სამწუხაროდ, ევროკავშირმა გაწევრიანებაზე მოლაპარაკებები შეაჩერა. ამერიკამ სამხედრო წვრთნები „ღირსეული პარტნიორი“ შეგვიჩერა. ევროკავშირმა საქართველოსთვის გამოყოფილი სამხედრო დახმარება - 30 მილიონი ევრო გაყინა. გერმანიამ, დანიამ და სხვა უამრავმა ცივილურმა ქვეყანამ როგორც ფინანსური, ასევე სხვაგვარი დახმარებები შეაჩერეს. აშშ-მა სამი დღის წინ განაცხადა, რომ სხვა პროგრამებსაც გადახედავს. აღარავინ დარჩა ცივილურ სამყაროში ისეთი, ჩვენ რომ არ გვაკრიტიკებდეს. ერთადერთი ქვეყანაა რუსეთი, რომელიც საქართველოს მთავრობად წოდებულ რუსებს აქებს. რა შეიძლება თქვა ქვეყნის ამ მდგომარეობაზე? „კატასტროფა“ - ამ ერთი სიტყვით შეიძლება შეაფასო.

- რამდენად არგუმენტირებულია თქვენი და, საერთოდ, ოპოზიციის შენიშვნები ხელისუფლების მიმართ?

- სანამ მაგაზე გიპასუხებთ, მანამდე, უბრალოდ, რიტორიკულ კითხვას დავსვამ. მაჩვენეთ ერთი არგუმენტი, რომელიც „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ გაითვალისწინა. ერთი ყველაზე მკაფიო მაგალითია თამარის დასახლების („ბენზეს“) ხიდი. როდესაც 2021 წელს პარტიულ პოლიტიკაში პირველი ნაბიჯი გადავდგი, პირველი ჩემი საჯარო ვიდეო მაგ ხიდს ეხებოდა. მონდომებით და გულწრფელად ვუხსნიდი „ოცნების“ ჩინოვნიკებს, რომ არ შეიძლეობდა ოთხზოლიანი გზა ქცეულიყო ორზოლიანად და ქალაქის შემოსასვლელში გაკეთებულიყო ძაბრი. მოისმინა კი ვინმემ?! არა. შედეგს ვიმკით. საათობითაა საცობი, რომელიც სეზონზე უფრო აქტიურდება და უარესად იჭედება. განა ჰარვარდის დამთავრება სჭირდება იმის გაგებას, რომ 4-ზოლიანი გზა 2 ზოლზე არ უნდა დაიყვანო?! არა. უბრალოდ, საქმისადმი სერიოზული დამოკიდებულება სჭირდება, რომელიც „ოცნების“ ხელისუფლებას არასოდეს ჰქონია. და თუ თავად არ იცი, სხვისი ცოდნა მაინც უნდა გაითვალისწინო, მაგრამ არ შეუძლიათ. მოკლედ, ბევრი არგუმენტირებული მოსაზრება გვითქვამს საჯაროდაც, პირად საუბრებშიც და წერილობითაც ხელისუფლებისთვის, მაგრამ არასოდეს მოუსმენიათ.

- ანალიტიკოსები აცხადებენ, რომ დასავლეთის კრიტიკა ხელისუფლებისადმი მატულობს. ვიცით, რომ საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების პროცესი შეჩერებულია. ეს რისი მანიშნებელია?

- ანალიტიკოსების გარეშეც, საქართველოს ნებისმიერი მოქალაქისთვის მარტივად შესამჩნევია უკვე, რა განწყობები და ვორდინგიც არსებობს დასავლეთში საქართველოს ხელისუფლების მიმართ.

- მმართველი პარტიის წევრები ამბობენ, რომ დასავლეთის ზემოაღნიშნული ვერდიქტი სასჯელია იმის გამო, რომ საქართველომ არ გახსნა მეორე ფრონტი...

- მმართველი პარტიის წევრებს რომ ჰკითხო, იმასაც ამბობენ, რომ არსებობს რაღაც ომის პარტია, რომელიც ზის და ამერიკას, ევროპას, ყველას მართავს და ომებს აჩაღებს დედამიწაზე. მმართველი პარტიის წევრების აზრით, დედამიწაზე ყველა დამნაშავეა... რუსეთის გარდა. ამბობენ, მაგრამ თავად სჯერათ ეს?! მაჩვენეთ ოფიციალური ან არაოფიციალური განცხადება, სადაც დასავლეთმა (ევროპამ ან ამერიკამ) სადმე საქართველოს მთავრობას უთხრა, მეორე ფრონტი გააჩაღეთო. არსებობს რაიმე მსგავსი?! არა. ვერც იარსებებს, რადგან პრაგმატულადაც რომ შეხედო დასავლეთს, ახლა ყველაზე მეტად ომის სხვა კერა არ აძლევს ხელს. უკრაინასა და პალესტინაზე არიან გადართული და ახალი კერის გაჩენა ნიშნავს ძალების რესურსებისა და ინტერესების გაყოფას, რაც ყველაზე მეტად დასავლეთს არ სჭირდება. „ქართული ოცნების“ ამომრჩევლების ბნელ და გაუნათლებელ ნაწილზეა გათვლილი ეგ მესიჯბოქსი. მეტი არავინ დაიჯერებს მაგ სისულელეს.

- ვხედავთ, რომ ქვეყანაში საარჩევნო მარათონი დაიწყო. იკვეთება ოთხი ოპოზიციური ცენტრი: „ნაცმოძრაობა“ - „სტრატეგია აღმაშენებლის“ პლატფორმა, „დროა“, „გირჩი - მეტი თავისუფლება“ „ახალის“ სახით, „ლელო“ და „საქართველოს“, აქედან ვის რა შანსი აქვს არჩევნებში?

- მოდით, მაინც დავაზუსტოთ. მხოლოდ „ლელო“ და გახარიას პარტია „საქართველოსთვის“ არ არიან ჯერ კონფიგურაციის გარეშე დარჩენილნი. „ევროპული საქართველოც“ ჯერჯერობით დამოუკიდებლად მოძრაობს. მე მაინც მგონია, რომ ჯერ საბოლოო წერტილი არ დასმულა არც „ევროპულ საქართველოსთან“ და არც „ლელოსთან“ ერთობლივი პლატფორმის შექმნაზე. ვფიქრობ, კიდევ არის შანსი. იმედი მაქვს, ასეც იქნება. თუ მოხდა ისე, რომ „ლელოც“ და „ევროპული საქართველოც“ ცალკე დარჩნენ, სამწუხარო იქნება და, ჩემი აზრით, საქმისთვის დამაზიანებელიც, რადგან, მიუხედავად ყველაფრისა, არსებობს იმის რისკი, რომ ცალცალკე ბარიერი ვერ გადალახონ, რის შედეგადაც (გადაუნაწილებელი მანდატების სახით) ანტირუსულ ხმებს წაიღებს „ოცნება“, ანუ რუსეთი.

- რატომ არ შეიქნა ერთიანი, ძლიერი ოპოზიციური ცენტრი?

- საჯაროდაა ცნობილი, რომ „გირჩი - მეტი თავისუფლება“ ერთიანი, ძლიერი ოპოზიციური ფრონტის მომხრე ვიყავით და მაგ საკითხს ვლობირებდით. ჩემი აზრით, სჯობდა, რომ ბიულეტენში დამდგარიყო არჩევანი - დასავლეთი თუ რუსეთი... მაგრამ, სამწუხაროდ, ეს არ მოხდა, რადგან ჩვენი საარჩევნო კანონმდებლობით, მთავრობის წარდგენის უფლება აქვს იმ პოლიტიკურ სუბიექტს, რომელიც პირველ ადგილზე გავა (50%-ზე მეტი რომც ვერ აიღოს, მაინც). ამიტომ „გირჩი“ მომხრე ვიყავით ისეთი ერთობის, რომელიც პირველ ადგილზე გავიდოდა და რუსებს („ოცნებას“) ტექნიკურადაც კი არ მისცემდა მთავრობის წარდგენის და შემდეგ ვაჭრობის საშუალებას, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს დიდი ერთობა არ გამოვიდა ბევრი მიზეზის გამო. მიზეზებზე, სამწუხაროდ, საჯაროდ არ შემიძლია საუბარი. დახურულ კარს მიღმა არსებული საუბრის გამოტანა ჩვენი მორალის მიღმაა, მაგრამ შემიძლია ის ვთქვა, რომ იყო ობიექტური და სუბიექტური მიზეზებიც, ცოტაც - ეგო, ისიც რომ პარტიების ნაწილს გულწრფელად სჯერა, რომ სამი ცენტრით გასვლა უფრო მომგებიანია. მოკლედ, საბოლოოდ, ეს დაჯდა რაც დაჯდა. ჩვენ არ გავჯიუტებულვართ. პოლიტიკურ სტრატეგიებში ჯიუტობა არ მოსულა. მთვარია, რუსები გვყავს მოსაცილებელი.

- თქვენი პლატფორმის ლოზუნგია „დროა ავირჩიოთ ახალი“. რას სთავაზობთ მოსახლეობას?

- არ არის ეგ ჯერ ჩვენი ერთიანი პლატფორმის ლოზუნგი. ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ რაიმე საწინააღმდეგო მაქვს მაგ სლოგანის. უბრალოდ, ჯერ შეთანხმებული არაა ეგ. როგორც ზემოთ ვთქვი, იმედი მაქვს, რომ ჯერ გამსხვილება არ დასრულებულა, ამიტომაც საბოლოო სლოგანი (და სხვა) არ არის ჩამოყალიბებული. დაველოდოთ მოვლენებს.

- „ტაბულის“ დამფუძნებელმა თამარ ჩერგოლეიშვილმა განაცხადა, რომ კეზერაშვილ-სააკაშვილი ორი პოლიტიკური სუბიექტით იქნება წარმოდგენილი არჩევნებზე („ნაცმოძრაობა“ და გვარამია-ჯაფარიძის ერთობა)...

- თქვენი ნებართვით, ამ კითხვას უკომენტაროდ დავტოვებ. უბრალოდ, სისულელეებზე კომენტარების კეთება არ მიყვარს. ერთადერთი, რაც შემიძლია ვთქვა, ისაა, რომ ჩემი პარტია არსებობს ფანდრაიზინგის მეშვეობით. 2021 წლის მთელი საარჩევნო კამპანია ჩავატარე ფანდრაიზინგით. ასე ვაპირებ ახლაც. საარჩევნო კამპანიის დროს საჯაროდ - ფეისბუქზე მედო ჩემი საბანკო ანგარიშები და რეპორტები. შემიძლია ახლავე მოგწეროთ ჩემი პირადი საბანკო ანგარიში, გადასცეთ ქალბატონ თამარს და შეუძლია ჩამირიცხოს ფული. ეს არ არის ჩემთვის პრობლემა. შეუძლია ბიძინამაც ჩამირიცხოს. სხვათა შორის, კეზერაშვილს ჩემი პარტია არასოდეს დაუფინანსებია. ნეტა დამაფინანსებდეს. აგერ, თქვენი გაზეთითაც მოვუწოდებ: „შეგიძლია დამაფინანსო“. რატომღაც ჩემი პარტია არასოდეს დაუფინანსებია, მაგრამ ვინ დააფინანსა კეზერაშვილმა 2020 წელს, ეგ რატომღაც დამავიწყდა. მღალატობს მეხსიერება...

- ცხადია, არჩევნების მთავარი ფაქტორი მოსახლეობის აქტიურობაა. რას აკეთებს თქვენი პარტია საამისოდ?

- საინტერესო და მნიშვნელოვანი კითხვაა. ჩვენ დიდი ხნის წინ დავიწყეთ პროექტი „საარჩევნო ყუთი შენს ქალაქში“, რისი მიზანიც არჩევნებში ემიგრანტების მაქსიმალური ჩართვაა. მეორე მთავარი საკითხი, ჩემი აზრით, არჩევნებში იმ ახალგაზრდების მონაწილეობაა, რომლებიც დღემდე არ დადიოდნენ. მოდით, ამასაც თავმდაბლობის გარეშე ვიტყვი, რომ ახალგაზრდების დიდ ნაწილთან ჩვენი პარტია ყველაზე კარგად „ვილინკებით“. გვაქვს კონკრეტული სეგმენტირებული კამპანიის გეგმა ახალგაზრდების მიმართ და საარჩევნო კამპანიის მსვლელობისას ამას ნახავთ.

- ყველა პოლიტიკური ძალა 2024 წლის არჩევნებში საკუთარ გამარჯვებაზე საუბრობს. ძირითადად, რომელ პარტიებს შორის წარიმართება ბრძოლა?

- ზოგადად, ცხოვრებაშიც არ მიყვარს პროგნოზების კეთება, პოლიტიკაში - მით უმეტეს, რადგან ძალიან უმადური რამ მგონია. ძირითადად, ვაკეთებ იმას, რისიც მწამს, რისიც მჯერა, გადაწყვეტილებას კი ხალხი იღებს. თუ მოსწონს, რასაც ვაკეთებ, მაძლევს ხმას. ჩემი უშუალო, პირდაპირი და ძირითადი კონკურენტიც, მტერიც და მოწინააღმდეგეც რუსეთია „ქართული ოცნების“ სახით. ეს შემიძლია გითხრათ დაზუსტებით.

- მაინც, როგორ ფიქრობთ, მომავალი არჩევნები ურთიერთდაპირისპირების ფონზე ჩაივლის თუ გვეღირსება ცივილური საარჩევნო ატმოსფერო?

- სამწუხაროდ, ჩემი მოლოდინი ვერ არის კარგი. ნეტა ოდესმე იმას მაღირსა, იდეებსა და შინაარსზე საუბარი შემძლოს. მგონია, ვერც ამ არჩევნებზე მოვესწრებით მაგას. თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ პოლიტიკური პოლარიზაცია და დაძაბულობა ამ არჩევნებზე არნახული იქნება.

- უნდა ველოდოთ თუ არა კოალიციური მთავრობის შექმნას და როგორ წარმოგიდგენიათ გახარიას პარტიისა და თუნდაც „ნაცმოძრაობის“ ურთიერთთანამშრომლობა?

- დიახ, დაზუსტებით შემიძლია გითხრათ, რომ უნდა ველოდოთ კოალიციურ მთავრობას. არცერთი კვლევა და არანაირი ლოგიკა სხვას არაფერს გვკარნახობს. არ არსებობს არცერთი პოლიტიკური სუბიექტი, რომელიც 50%-ზე მეტს აიღებს. რაც შეეხება გახარიას პარტიისა და „ნაცმოძრაობის“ ურთიერთთანამშრომლობას, ძალიან მეეჭვება, „ნაცმოძრაობამ“ გახარიასთან ითანამშრომლოს, მაგრამ ვნახოთ, მომავალი წინაა. ყველაფერი ოქტომბერში გამოჩნდება.

- დაბოლოს, მომავალი არჩევნები რამდენად გადაწყვეტს ქვეყნის ბედს ევროინტეგრაციის თვალსაზრისით?

- მომავალი არჩევნები, რომელსაც მე რეფერენდუმს ვუწოდებ, დიახ, ქვეყნის საგარეო კურსს წყვეტს. ის, რომ „ქართული ოცნება“ რუსეთია, ასეთი მკაფიო და გასაგები არასოდეს ყოფილა. ის, რომ „ქართული ოცნების“ არჩევა რუსეთის არჩევას ნიშნავს, არასოდეს ყოფილა ასეთი გასაგები. შესაბამისად, საკითხი დგას ასე - ან ირჩევ რუსეთს და ხაზავ 41-ს, ან ირჩევ დასავლეთს და ხაზავ სხვა დანარჩენ პროდასავლური ოპოზიციური პარტიების კომბინაციას, ან კიდევ ირჩევ პროდასავლურ, ლიბერალურ და თავისუფალ საქართველოს და აფერადებ იმ გაერთიანების ნომრის გასწვრივ არსებულ უჯრას, რომელშიც არის „გირჩი - მეტი თვისუფლება“.

> *„ევროკავშირმა გაწევრიანებაზე მოლაპარაკებები შეაჩერა. ამერიკამ სამხედრო წვრთნები „ღირსეული პარტნიორი“ შეგვიჩერა. ევროკავშირმა საქართველოსთვის გამოყოფილი სამხედრო დახმარება - 30 მილიონი ევრო გაყინა. გერმანიამ, დანიამ და სხვა უამრავმა ცივილურმა ქვეყანამ როგორც ფინანსური, ასევე სხვაგვარი დახმარებები შეაჩერეს. აშშ-მა სამი დღის წინ განაცხადა, რომ სხვა პროგრამებსაც გადახედავს. აღარავინ დარჩა ცივილურ სამყაროში ისეთი, ჩვენ რომ არ გვაკრიტიკებდეს. ერთადერთი ქვეყანაა რუსეთი, რომელიც საქართველოს მთავრობად წოდებულ რუსებს აქებს*

აჭარის მეტმა მკვიდრმა უნდა მიიღოს პროფესიული განათლება

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

ქვეყანაში პროფესიული სასწავლებლების ქსელი ვითარდება. წამყვან სასწავლებლებში ახალგაზრდები სხვადასხვა სპეციალობას ეუფლებიან და წარმატებით საქმიანობენ ეროვნული მეურნეობის სხვადასხვა სფეროში. საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროები, პროფესიული უნარების სააგენტო, სამხარეო ადმინისტრაციების და ადგილობრივი თვითმმართველობის (მერიის) ხელმძღვანელებთან ერთად მნიშვნელოვან ღონისძიებებს ატარებენ პროფესიულ სასწავლებლებში ახალგაზრდობის მოზიდვისა და სასურველი სპეციალობების ათვისებისთვის

შარშან ქვეყნის მასშტაბით გამარჯვებულად შუახევის მუნიციპალიტეტის მერია ცნეს. აღინიშნა, ასევე, ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საქმიანი დამოკიდებულება პროფესიული განათლებისადმი. დონორი სამინისტროებისა და სააგენტოს ხელმძღვანელთა გადაწყვეტილებით მოქმედებს პროექტი: „წლის საუკეთესო რეგიონული თანამშრომლობა“. წინა წელს გამოვლენილი მუნიციპალიტეტი მასპინძლობს დასკვნით ღონისძიებას, რომელზეც მსჯელობენ გაწეულ საქმიანობაზე და საზოგადოების წინაშე სახელდება პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ გამოცხადებულ კონკურსში „წლის საუკეთესო რეგიონული თანამშრომლობა“ გამარჯვებულები. წელს ღონისძიების მასპინძლებად შუახევი და ქედა შეარჩიეს.

ქვეყნის რამდენიმე მუნიციპალიტეტისა და სამხარეო ადმინისტრაციების პირველი პირები, პასუხისმგებელი მუშაკები, ამჯერად, შუახევს ეწვივნენ. ვიდრე შემაჯამებელი ღონისძიება დაიწყებოდა, რამდენიმე მონაწილეს კომენტარი ვთხოვეთ.

ვასილ გველესიანი, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერი:

- პროფესიულ განათლებაზე მზაობა ახალგაზრდებისთვის მნიშვნელოვანია. შენობა, სადაც ღონისძიება იმართება, სავსებით შეესაბამება იმ ნორმებს, რასაც ამ ტიპის სასწავლებელი მოითხოვს. აქაური ახალგაზრდები სასურველ სპეციალობას დაეუფლებიან. ისინი, შესაბამისად, არჩევანსაც გააკეთებენ. ზოგადად, პროფესიული სასწავლებლები ერთ პლატფორმაზე არიან გაერთიანებულნი და შეჯიბრობითობის პრინციპით მოქმედებენ სხვადასხვა პროექტში. ეს მისასალმებელია და მომავალი წარმატებების საწინდარია. უდავოდ, ლამაზი ბუნება გაქვთ. იმედია, ყველაფერი კარგად იქნება. სხალთის ეპარქიის მთავარეპისკოპოსი მეუფე სპირიდონი ჩემი მეგობარია. მას სათანადო წვლილი მიუძღვის ამ რეგიონში პროფესიული განათლების ქსელის განვითარებაში.

გოჩა ძავთარაძე, მცხეთა-მთიანეთის სამხარეო ადმინისტრაციის რწმუნებულის მოადგილე:

- მოხიბლული ვარ აქაურობით, ყველაფერი თვალწარმტაცი და მშვენიერია. მისასალმებელია, რომ ორგანიზატორებმა ღონისძიება აქ დაგეგმეს. პროექტი პროფესიული განათლების შესახებ წლებია, ხორციელდება. წინასწარი ინფორმაციით ვიცით, რომ ამჯერადაც კონკრეტული მუნიციპალიტეტები და კოლეჯები ჯილდოვდებიან და შესაბამის სიგელებს მიიღებენ. ჩვენი ადმინისტრაციის თითოეულ მუნიციპალიტეტს მნიშვნელოვანი მარცვალი აქვს ჩაგდებული, რაც კეთილ გამოძახილს პოვებს.

კობა მურადაშვილი, დმანისის მუნიციპალიტეტის მერი:

- პირველ რიგში, შუახევის მუნიციპალიტეტს ვულოცავ პროფესიული განათლების მიმართულებით მიღწეულ შედეგებს. აქ ყველაფერი გათვლილია პროფესიულ განათლებაზე. არც ისაა გასაკვირი, რომ შუახევლების მიერ წარმოდგენილი პროექტი რეგიონულ ჭრილში საუკეთესო იყო. შედეგმაც არ დაახანა. ყველას წარმატებებს გისურვებთ. ქვეყანას მეტი პროფესიონალი და განათლებული ახალგაზრდა სჭირდება.

ვახტანგ ბერიძე, ხულოს მუნიციპალიტეტის მერი:

- ვუერთდები იმ საერთო პათოსს, რაც დღეს მეზობელ შუახევშია და შემდეგ ქედაში იქნება. არსებობის ისტორიაში აჭარის აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოების, ხუთივე მუნიციპალიტეტის მერებს გვაქვს პატივი, კოლეგებთან ომარ ტაკიძესა და როლანდ ბერიძესთან ერთად მასპინძლები ვიყოთ. პროფესიული განათლების მიმართულებით აჭარაში ბევრი კეთდება და უკეთესის მოლოდინში ვართ. დათქმულ დროს დაწყებულმა ღონისძიებამ საზოგადოებას ამცნო დამაიმედებელი შედეგები, რაც საქართველოს პროფესიული განათლების სისტემაშია მიღწეული. ეს პათოსი გასდევდა წითელ ზოლად პროფესიული უნარების სააგენტოს გენერალურ დირექტორ ირინე მარგიშვილის, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის პირველ მოადგილე ალექსანდრე წულაძის, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრ მაია ხაჯიშვილის, საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე მზია გიორგობიანის, შუახევისა და ქედის მუნიციპალიტეტების მერების ომარ ტაკიძისა და როლანდ ბერიძის გამოსვლებს.

ითქვა, რომ პროფესიული განათლება ცალკე არ განიხილება, მასში აუცილებელია მუნიციპალიტეტების სხვადასხვა ფორმით ჩართულობა, ასევე, ადგილობრივი ბიზნესის თანამშრომლობა კოლეგებთან. დამსწრე საზოგადოებას, გამორჩეულად - მუნიციპალიტეტების მერებს მოუწოდეს, დაეხმარონ დონორ ორგანიზაციებს, გახდნენ ხიდი კერძო სექტორსა და კოლეჯებს შორის, სახელმწიფო კი მზადაა, გაიღოს ინვესტიცია და არსებული რესურსი მიმართოს იმ მოთხოვნებისკენ, რაც ამ ეტაპზე რეგიონებს სჭირდებათ.

„2024 წლის საუკეთესო რეგიონული თანამშრომლობის“ კონკურსზე შესული იყო 8 განაცხადი. მონაწილეთა შორის დაასახელეს კოლეჯები. ილია წინამძღვრიშვილის სახელობის, „აისი“, „ფაზისი“, „ოპიზარი“, „იბერია“, „მოდუსი“, ასევე - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯი. კომისიამ გამარჯვებულებად ცნო და პირველი ადგილი მოიპოვეს ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯმა და მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიამ პროექტით: „ინოვატორთა კლუბი - ციფრული კომპეტენციების განვითარება“. მეორე ადგილი წილად ერგო სსიპ „კოლეჯ „იბერიას“ და ბაღდადის მუნიციპალიტეტის მერიას პროექტით: „სკილუპ“ რეგიონული ინიციატივა, მესამე ადგილი - სსიპ „კოლეჯ „მოდუსს“ და მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიას პროექტით: პროფესიული განათლების მხარდაჭერა. მათ დიპლომები ალექსანდრე წულაძემ, მზია გიორგობიანმა და ირინე მარგიშვილმა გადასცეს. დაჯილდოების ცერემონიის შემდეგ პანელური დისკუსია გაიმართა თემაზე: „რეგიონული თანამშრომლობის საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება და გამოწვევები“. დისკუსიაში დონორებთან ერთად მონაწილეობდნენ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე გიორგი ბაჯაძე, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი ვახო თავდგირიძე, ბაღდათის მერი კახა ენუქიძე, მარნეულის მერი ქენან ომაროვი, კოლეჯ „მოდუსის“ დირექტორის მოადგილე ნინო ქავთარაძე. მათ ისაუბრეს არსებულ გამოწვევებზე და პასუხი გასცეს დასმულ შეკითხვებს.

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერმა კახა ენუქიძემ ჩვენთან საუბარში თქვა:

- კოლეჯ „იბერიის“ მიერ წარმოდგენილი პროექტი საუკეთესო თანამშრომლობის მაგალითია. კოლეჯსა და მერიას შორის წარმატებულმა ურთიერთობებმა სასურველ შედეგამდე მიგვიყვანა. კიდევ ერთი პროექტი „მოხალისეთა კლუბი ბაღდათის მუნიციპალიტეტში“ მიზნად ისახავდა ადგილობრივ ახალგაზრდებში მოხალისეობის კულტურის პოპულარიზაციას და მათ ჩართულობას. კლუბის არსებობა ხელს უწყობს ადგილობრივ ახალგაზრდებს შორის კომუნიკაციისა და კოორდინაციის გაუმჯობესებას.

ღონისძიება მომავლის იმედითა და რწმენით დასრულდა. მომავალი საქმიანობის ხედვაა წარმოჩენილი იმ შეფასებებში, რომლებიც ორგანიზატორებმა გააკეთეს.

მაია ხაჯიშვილი:

- პროფესიული განათლების მიმართულებით აჭარის რეგიონმა მნიშვნელოვან პროექტს უმასპინძლა. პროფესიული განათლება ეს ის სფეროა, სადაც მჭიდრო თანამშრომლობის გარეშე შედეგებზე გასვლა შეუძლებელია. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ თანამშრომლობა თითოეულ მუნიციპალიტეტს, რეგიონს, კონკრეტულ სარგებლობაზე გათვლის ღონისძიებებს მოიცავს. ბუნებრივია, ის ურთიერთობები, რაც დღევანდელ ღონისძიებაზე გახმიანდა, საბოლოოდ, აისახება თითოეული კოლეჯისა და პროგრამის შემდგომ განვითარებაზე და ხელს შეუწყობს ახალგაზრდების კვალიფიკაციის ამაღლებას.

ირინე მარგიშვილი:

- პროფესიული უნარების სააგენტო რამდენიმე წელია კონკურსს ატარებს, რომელიც საერთო რეგიონული თანამშრომლობის გამოვლენას ემსახურება. ეს პროექტი საგანმანათლებლო თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანია, იმ მოთხოვნებს პასუხობს, რასაც დღევანდელობა გვიყენებს. გამოვავლინეთ სამი გამარჯვებული, როგორც კოლეჯი, ასევე, მუნიციპალიტეტი. სასიხარულოა, რომ ამჯერადაც წარმომადგენლობითი და მოცულობითი ღონისძიება გავმართეთ. საკმაო დრო დაეთმო პანელურ დისკუსიას, რომელზეც გაანალიზდა აღნიშნული პროექტის მნიშვნელობა, შედეგები და გამოწვევები.

ალექსანდრე წულაძე:

- ჩვენი სამინისტრო ქვეყანაში პროფესიული განათლების გაუმჯობესებას მხარს უჭერს. შარშან მინისტრმა ახალი კონცეფცია წარმოადგინა, რომელიც, რა თქმა უნდა, პარტნიორობას მოითხოვს. ჩვენ პარტნიორობის მომხრენი ვართ. მადლობას ვუხდი აჭარის რეგიონის, შუახევისა და ქედის მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელებს ღონისძიების ორგანიზებულად ჩატარებისთვის. ასეთი პროექტები მნიშვნელოვანია. ვავლენთ რეგიონის მუნიციპალიტეტებს, რაც ხელს შეუწყობს ქვეყანაში პროფესიულ განათლებას. ახალი გამარჯვებულის გამოვლენა სხვებს სტიმულს აძლევს. ჩვენი მთავარი მესიჯი რეგიონებმა უკვე აიტაცეს და გამოცხადებულ კონკურსში არიან ჩართულნი. იმედს ვიტოვებთ, რომ მომავალ წელს კიდევ უფრო მეტი განაცხადი გვექნება.

მზია გიორგობიანი:

- გამარჯვებულებს წარმატებას ვულოცავ. ჩვენი სამინისტრო რეგიონების განვითარებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტებისა და კერძო სექტორის ჩართულობა გამორჩეულია, რათა ყველამ ერთად განვსაზღვროთ ის საჭიროებანი, პროექტები, რომლებიც რეგიონებს განავითარებს. პროფესიული კოლეჯები მუნიციპალიტეტებთან ერთად ამისთვის მზად არიან, რათა მეტმა ადგილობრივმა მკვიდრმა მიიღოს პროფესიული განათლება.

ომარ ტაკიძე:

- თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ დაგეგმილმა ღონისძიებამ მიზანს მიაღწია. ასეთ თემასთან დაკავშირებით შეკრებილი ამდენი წარმომადგენელი შუახევს არ ახსოვს. მინდა ესტაფეტა გადავცე გამარჯვებულ მუნიციპალიტეტებს და წარმატებები ვუსურვო.

ღონისძიების მონაწილეებს სიმღერები და ცეკვები შესთავაზეს შუახევისა და ქედის კულტურის ცენტრებთან არსებულმა ანსამბლებმა „ფესვებმა“, „ელესამ“, ნორჩმა მოცეკვავე ნია ცეცხლაძემ, ბენდმა „117“.

საუკუნის თანატოლი

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

გოგაძეებელ აბაშიძეებს შრომასა და ქვეყნის ერთგულებაში ბადალი არ ჰყავთ. შემთხვევითი არ იყო, რომ აქაურმა შაქირ, ახმედ, იდრის და მემედ აბაშიძეებმა წინა საუკუნის პირველ ნახევარში შრომით ასპარეზზე მოპოვებული წარმატებისთვის მთავრობის ჯილდოები დაიმსახურეს. შაქირი მაინც გამორჩეული იყო. შვილები, ძმისშვილები მისგან მაგალითს იღებდნენ. გამონაკლისი არც მისი სათაყვანებელი ძმისშვილი ფატყუმი გახლდათ

- მაგალითის მომცემი გვარსა და სოფელში მრავალი მყავდა, - ასე დაიწყო ჩვენთან საუბარი საუკუნის თანატოლმა ფატყუმ აბაშიძე-კაკალაძემ, - 17 წლისა ვიყავი, როცა მეორე მსოფლიო ომი დაიწყო. სოფელს იმ დროს სულიჯან თურმანიძე - კაცი-ლეგენდა ხელმძღვანელობდა. ომის მრისხანე წლებში მამასთან ერთად სამხედრო საგუშაგოს ცხენებს ვპატრონობდი. კარგად მახსოვს თანატოლი გოგო-ბიჭების ენერგიული შრომა ფრონტის სურსათითა და ტანსაცმლით მომარაგებისთვის. სოფელმა კარტოფილის უხვი მოსავლის წარმოებისთვის ქვეყნის უმაღლეს მთავარსარდალ იოსებ სტალინის მადლობა რომ დაიმსახურა, ჩემი პირადი წვლილიც იყო ამაში. ომის წლებში ზურგში მამაცური შრომისთვის მედალი მეც მერგო, სამწუხაროდ, აღარავინ გიფასებს მაშინდელ თავდადებასა და შრომას.

- სად - გოგაძეები და სად - ნიგაზეული?

- მეორე მსოფლიო ომი დასასრულს უახლოვდებოდა, როცა ნიგაზეულელ დურსუნ კაკალაძეზე გავთხოვდი, ერთად ვეწეოდით ცხოვრების უღელს.

- 9 შვილი, 27 შვილიშვილი, 94 შვილთაშვილი, 34 შვილთაშვილის შვილი და ერთი მეხუთე თაობა - ეს თქვენი მონაგარია.

- არადა, თავი ისევ ის კაფანდარა გოგონა მგონია, რომელიც ზეკარელი ბეჟანიძეებიდან ვახტანგეთში გამოთხოვილ დედას - სევგულის სოფლის გზებზე დავყვებოდი. ოჯახში ორი და და ერთი ძმა ვიზრდებოდით. უფროსი მე ვიყავი. დედ-მამასთან ერთად, ოჯახურ ტვირთს მეც ვინაწილებდი. გათხოვებიდან ერთი წლის შემდეგ პირველი ქალიშვილი შეგვეძინა. საუბედუროდ, ის და კიდევ ორი ქალიშვილი ცოცხლები აღარ არიან. რემზიეს, ნაზიმეს, ფიქრიესა და ზულფიეს შემდეგ ბეჟანი, ამირანი, ვაჟა, ნოდარი და შოთა მოევლინნენ წუთისოფელს. უფლის წყალობაა, რომ ჩვენი შთამომავლობა 165 წევრს ითვლის. ბუდიდან აფრენილი ბარტყებივით მიმოფანტულები არიან ქვეყნის სხვადასხვა კუთხესა და ქალაქში. ძირძველ კერაზე ნაბოლარა შოთა დარჩა. მან ოჯახი 1992 წელს შექმნა. ორი შვილიშვილი გამიზარდეს. შოთა, რძალი და შვილიშვილები თავს მევლებიან. ორი წლის წინ, ბაღში მუშაობისას, ტრავმა მივიღე. გარეთ შრომას ვეღარ ვახერხებ, სამაგიეროდ, კერვა, ქსოვა არ მიჭირს. მეორე მსოფლიო ომის წლებშიც ჩემს მოქსოვილ წინდებს, ხელთათმანებს ფრონტს ვუგზავნიდი.

- ჯვარი გწერიათ და, ტრავმის ფონზე, კარგად გამოიყურებით...

- იცით, რამდენი მწარე და სევდიანი დღე გამოვიარე? ჯერ იყო და, 1978 წელს ქვისასროლიაში გადაჩეხილმა ავტომანქანამ მამაჩემი შეიწირა, ოცი წლის შემდეგ მეუღლე დურსუნი გარდაიცვალა. ბედად, ყველა შვილი გათხოვილ-დაქორწინებული იყო. გავიდა რამდენიმე წელი და ერთმანეთის მიყოლებით ქალიშვილები დავკარგე. უფალს ვევედრები, ის მძიმე დღეები მაკმაროს. რომ არა ამდენი განსაცდელი, უკეთ ვიქნებოდი. 100 წლის იუბილეზე პარლამენტარი ანზორ ბოლქვაძე, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები რომ მესტუმრნენ, ეზოს ჭიშკრამდე მივაცილე და მადლობა გადავუხადე.

- რაშია თქვენი დღეგრძელობის საიდუმლო?

- ღმერთის ნების გარეშე არა საქმე არ იქნების. კვების რაციონში მეტწილად მეცხოველეობის პროდუქტები და ხილ-ბოსტნეული მაქვს. 12 წელი მთა ჯანჯღნარში მემთეურიც ვიყავი. პირუტყვის მოვლა ბავშვობიდანვე კარგად ვიცოდი. გამოცდილებას ახლა შთამომავლებს ვუზიარებ. მიწაზე მუშაობა არ მიჭირდა. შრომა ადამიანს სიმხნევეს მატებს, აკეთილშობილებს. ესაა და ეს.

- აჭარის მთიანეთში ქართული სკოლების აღდგენა და თქვენი დაბადების წელი ერთმანეთთან თანხვედრაშია. გოგაძეებში აღდგენილი ქართული სკოლის მოსწავლე გოგონებს შორის იყავით...

- ჩემი თაობის გოგაძეებლებმა - ანზორ, შოთა დავითაძეებმა, მუხამედ ბათაძემ დიდი წვლილი შეიტანეს სოფლის ეკონომიკურ და კულტურულ წინსვლაში. ისიც კარგად მახსოვს, სოფელში დაწყებითი კლასების მასწავლებლებად მოვლინებული გოგონები - თამარ ბერაია და ვერა ვადაქარია ადგილობრივ ბიჭებზე - ოთარ ფევაძესა და ომერ თურმანიძეზე რომ გათხოვდნენ. ისინი ჩემი უფროსი მეგობრები იყვნენ. თამარი და ოთარი საცხოვრებლად ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ახალსოფელში გადავიდნენ, ხოლო ვერა და ომერი - ლაითურში. სოფელს, ასევე, დიდი ამაგი დასდო ანზორ დავითაძის მეუღლემ, დიდაჭარელმა აიშე შავაძემ. მისი დირექტორობის წლებში გოგაძეების 8-წლიანი სკოლა საშუალოდ გადაკეთდა. ანალოგიურად მოხდა სოფელ ნიგაზეულში, როცა სკოლის დირექტორად მოვლინებული შოთა ლომთათიძე იყო. ჩემმა შვილებმა შვილიშვილებმა, საშუალო განათლება ამ საგანმანათლებლო კერაში მიიღეს. მათი სწავლის პერიოდში სკოლის კაპიტალური შენობა აიგო. ახლა ნორმალური მატერიალური ბაზა გვაქვს, პედაგოგებიც ადგილობრივები არიან, მაგრამ მოსწავლეთა რაოდენობაა მცირე. მე ის დროც მახსოვს, როცა უფროსი თაობის ნიგაზეულელები მადლიერებით იხსენებდნენ მიხაკო ორაგველიძეს და ნოდარ დუმბაძის პირველ სიყვარულ მერი მაღულარიას. ეს უკანასკნელი ნიგაზეულშია დაკრძალული. ქართული წიგნის დღეებთან დაკავშირებით ნოდარ დუმბაძის ქალიშვილი ქეთევან დუმბაძე ნიგაზეულში რომ იმყოფებოდა, მერის საფლავთან ყვავილები მიიტანა.

- არც მეხსიერება გღალატობთ...

- პირველად მომეცა პრესასთან ასე გულახდილი საუბრის შესაძლებლობა. ადრე მხოლოდ გვარ-სახელით მომიხსენიებდნენ და ყველაფერი ამით მთავრდებოდა. წიგნების, გაზეთების კითხვა ბავშვობიდანვე მიყვარდა. ჩემი თაობის გოგონებიდან ერთეულებმა გაბედეს პედაგოგიურ სასწავლებელსა და ინსტიტუტებში სწავლის გაგრძელება. მე საამისო პირობები ნამდვილად არ მქონდა. ბედნიერებაა, როცა შენს ნათქვამ სიტყვას, გაკეთებულ საქმეს ფასი ედება, სოფელი, შთამომავლობა მეფერება. გოგაძეებელ აბაშიძეებს ტყუილი, პირმოთნეობა არ გვიყვარს. მსურს ჩემმა შთამომავლობამ ამ გზით იაროს. ასეც მოდიან - ქვეყნის მსახურება, ოჯახის კეთილდღეობაზე ზრუნვა არცერთს არ ეზარება, ჰოდა, მეც სიცოცხლე მიხარია.

ძალადობა

„რას იტყვის ხალხი?!“ – სამწუხარო რეალობა

ხატია იაშვილი 555 18 48 88

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, გასულ წელს განქორწინებულ წყვილთა რაოდენობა 13 664 იყო, რაც 7 წლის განმავლობაში თითქმის ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. განქორწინებულ წყვილთა უმეტესობა ოჯახის დანგრევას ოთხ გარემოებას უკავშირებს - აზარტული თამაშები, წამალდამოკიდებულება, ღალატი და ძალადობა

სამწუხაროდ, ჩვენს რეალობაში კიდევ არიან ქალბატონები, რომლებიც ამ ოთხივე პრობლემას „იტანენ“ ერთი მარტივი მიზეზის გამო - სად წავიდნენ?! ამ დროს ქალის და შვილების ფსიქიკა ინგრევა. მუდმივი კონფლიქტი მძიმედ აისახება მოზარდებზე. ფსიქოლოგების თქმით, ბავშვები აუცილებლად უნდა გავარიდოთ მსგავს სიტუაციას ან მათთან სოციალურმა მუშაკმა უნდა იმუშაოს. ხშირად შვილიშვილების აღზრდაზე ბებიები ზრუნავენ, მაგრამ შვილებს ოჯახებში არ აბრუნებენ. „რას იტყვის ხალხი?!“ - ეს კითხვა ისევ დამოკლეს მახვილივით ჰკიდია ჩვენი საზოგადოების თავზე, თუმცა, საბედნიეროდ, ასეთთა რიცხვი დღითი დღე მცირდება.

ჩვენ ვესაუბრეთ ქალბატონს, რომელმაც ოჯახის შექმნიდან 3 წელიწადში მშობლების სახლში დაბრუნება გადაწყვიტა: „მე და ჩემს მეუღლეს ძალიან გვიყვარდა ერთმანეთი. ერთი დღეც ვერ წარმომედგინა მის გარეშე, მაგრამ შვილის დაბადების შემდეგ სამსახური რომ დაკარგა, ბევრი რამ შეიცვალა. იოლი ფულის საშოვნელად „მეგობარმა“ კაზინო ან ონლაინთამაშები ურჩია. როგორც ყველას, დასაწყისში ჩემს მეუღლესაც უმართლებდა, მაგრამ თვეების შემდეგ, აზარტში შესული, ვეღარაფერს აკონტროლებდა. ნელ-ნელა გადიოდა ჩვენი სახლიდან ნივთები, უცნობი ადამიანები მოდიოდნენ და ვალის დაბრუნებას ითხოვდნენ, ბანკებიდან რეკავდნენ. კულმინაცია ის იყო, რომ სახლი, რომელიც მემკვიდრეობით ერგო, იპოთეკით დატვირთა და ერთ ღამეში ეს თანხაც წააგო. ჩავალაგე ჩემი ნივთები და დედასთან წამოვედი. ამ პრობლემებზე მანამდე არავისთან ვსაუბრობდი, მრცხვენოდა, მაგრამ, ვფიქრობ, რომ აქ დავაშავე. იქნებ ვინმესთვის მოესმინა, დაეჯერებინა, თუმცა ამითაც თავს ვიმშვიდებ - ლუდომანები არ სწორდებიან. მშობლები ჩემს გადაწყვეტილებას გაგებით მოეკიდნენ, კარი გამიღეს და დღემდე არ მაგრძნობინებენ, რომ გათხოვებით არასწორი არჩევანი გავაკეთე. მეტიც, კულინარიის კურსები დამიფინანსეს. ვსწავლობ იმას, რაც მიყვარს და ხვალ სამსახურს დავიწყებ. დამოუკიდებელი ქალი ვიქნები და შემეძლება, შვილი სრულფასოვნად აღვზარდო. ყველა ქალს მინდა ვურჩიო, ჩემსავით არ მოითმინოთ, ისაუბრეთ თქვენს პრობლემაზე, თუ ამით გამოსავალს ვერ იპოვით, ერთი წამით არ იფიქროთ, რომ მარტო დარჩებით. მშობლები აუცილებლად დაგეხმარებიან“, - გვითხრა 23 წლის მაია გოგიტიძემ.

სამწუხაროდ, მაიასავით ყველას არ უმართლებს. არიან მშობლები, რომლებიც უკან მიბრუნებულ შვილებს არ პატრონობენ. ზოგი ასეთ საქციელს ფინანსური გაჭირვებით ხსნის, ზოგსაც ისევ „ხალხი რას იტყვის“ აფიქრებს, ზოგიც ამბობს, რძალი მყავს სახლში და ადგილი აღარ გვაქვსო, ყველას კი მთავარი ავიწყდება - შვილის ბედნიერება.

დღეს უკვე ძლიერი, შემდგარი ქალბატონია 29 წლის ნინო სირაძე, რომელიც ოჯახის დანგრევის შემდეგ არავინ შეიფარა და წლებია, 5 წლის შვილს მარტო ზრდის.

- გავთხოვდი, მიყვარდა და არ გამიმართლა. ძალიან ეჭვიანი აღმოჩნდა. არც მეგობრებთან მიშვებდა, არც დაბადების დღეზე, არც ზღვაზე, არც ქუჩაში, სამსახურისთვისაც თავი დამანებებინა. მოკლედ, სულ მასთან ერთად უნდა მევლო ან სახლში ვყოფილიყავი. მხიარული, სიცოცხლით სავსე გოგო უცებ აღმოვჩნდი ჩაკეტილ სივრცეში. ბოლოს სამსახურის გამო სხვა ქალაქში მოუწია წასვლა და ბიძაშვილის ქორწილში მარტო არ გამიშვა 5 თვის ფეხმძიმე... ეს იყო ბოლო წვეთი, რამაც მოთმინების ფიალა ამივსო და მისი დატოვება მაიძულა. მთელი ღამე ვტიროდი, სხვის ფოტოებს ვათვალიერებდი, როგორ ერთობოდნენ, მოკლედ... ჩავალაგე ტანსაცმელი და ტაქსით წავედი მშობლების სახლში. დედამ კარი რომ გამიღო, შეიცხადა, ეს რა გააკეთეო. არ გცემს, არ სვამს, ფინანსურად არ გიჭირს, დიდი ამბავი, სადმე თუ არ წახვალ და გაერთობიო. ახლავე წადი, ოჯახში დაბრუნდიო. ხალხს რა ვუთხრა, საუკეთესო ქმარი გყავს და დაქალებთან თუ არ წახვედ-მოხვედი ამის გამო ოჯახი უნდა დაანგრიოო?! იმ წამს ცა ჩამომექცა თავზე. ვერავინ, დედამაც კი ვერ გამიგო. მამამაც იგივე მითხრა, მაგრამ მამა მაინც კაცია და მისგან ასე ძალიან არ მწყენია. კარი გამოვიხურე და იმ დღიდან ნაქირავებში ვცხოვრობ. ბავშვის მამას სასამართლოს გზით ალიმენტი დავაკისრე, მე კი ონლაინგაყიდვებში ჩავერთე. პანდემია დამემთხვა და ამ მხრივ ცოტა გამიმართლა. სახელმწიფოსგან დახმარებასაც ვიღებდი, როგორც სოციალურად დაუცველი. დღეს თამამად შეიძლება ვთქვა, რომ ყველაზე სწორი ნაბიჯი მაშინ გადავდგი, როცა ჩემი ყოფილი ქმრის სახლიდან წამოვედი. ბევრი მეხვეწა, შემირიგდი, გამოვსწორდებიო, მაგრამ მისი არ მჯეროდა, ეს პირობა მანამდეც ბევრჯერ მომცა. დედ-მამის კარი ამ დრომდე არ შემიღია. არც მინდა ვნახო - მათ ყველაზე რთულ პერიოდში მიმატოვეს“, - გვითხრა ნინო სირაძემ.

შესაძლოა, ბევრმა არ იცის, რომ აჭარაში დედათა და ბავშვთა თავშესაფრები არსებობს. აქ სხვადასხვა პრობლემის მქონე მარტოხელა, ძალადობაგანცდილ მიუსაფარ დედებსა და ბავშვებს 24-საათიანი თავშესაფრით უზრუნველყოფენ, ბენეფიციარებს სადღეღამისო მომსახურებას სთავაზობენ სამჯერადი კვებით, ასაკის, სქესის, სეზონის შესაბამისი ტანსაცმლითა და ჰიგიენის ნივთებით უზრუნველყოფენ, ფსიქოლოგიურ დახმარებას უწევენ, პროფესიული და არაფორმალური განათლების მიღებაში, დასაქმებაში ეხმარებიან, საჭიროების შემთხვევაში სამედიცინო მომსახურების ორგანიზებას, სოციალური უნარ-ჩვევების სწავლებას სთავაზობენ და სხვა.

დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამას აჭარის ჯანდაცვის სამინისტრო 2013 წლიდან ახორციელებს. პროგრამით გათვალისწინებული მომსახურებით სარგებლობენ საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე. ჩამოთვლილ მომსახურებაში ერთ-ერთი პრიორიტეტული ფსიქოლოგის კონსულტაციაა. ქალს, რომელიც გარკვეული მიზეზების გამო მარტო რჩება, დახმარება ნამდვილად სჭირდება. ჩვენთან საუბარში ფსიქოლოგმა მარიამ ლეჟავამ აღნიშნა, რომ ყველაზე ძლიერ ქალბატონსაც ფსიქოლოგის რამდენიმესაათიანი დახმარება სჭირდება, რათა საღი გონებით უკეთ გააცნობიეროს პერსპექტივები.

- ქალი მარტო რომ რჩება, ფიქრებში ყოველთვის ერთ კითხვას სვამს - რატომ? სწორედ ამ კითხვაზე პასუხის გაცემაში ვცდილობთ დახმარებას. პასუხი კი ასეთია: იმიტომ, რომ ბედნიერები იყვნენ; იმიტომ, რომ არავის აქვს უფლება, შეგზღუდოს, დისკომფორტი შეგიქმნას და საკუთრებად მიგიჩნიოს. ძალადობის სხვადასხვა ფორმასთან ერთად ყველაზე რთული ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლ ქალებთან მუშაობაა. მათ ნელ-ნელა უნდა დაუბრუნო თვითშეფასება. მუდმივი წნეხის ქვეშ მყოფები არასრულფასოვნების კომპლექსით არიან შეპყრობილნი. გამოუვალი სიტუაცია არ არსებობს, მთავარია, დროულად მივიღოთ გადაწყვეტილება საკუთარი ბედნიერებისთვის, - გვითხრა მარიამ ლეჟავამ.

„წლის კომპოზიტორის“ ტიტული – კალიფორნიაში, ესპანეთის კინომუსიკის საერთაშორისო ფესტივალის გამარჯვებული... კიდევ რით შეუძლია იამაყოს ანა ქასრაშვილმა?

მანანა ტაკიძე 577 10 15 17

ჩვენი სტუმარია ქართველი კომპოზიტორი, გამაორკესტრებელი, სიმღერების ავტორი და პიანისტი, 2018 წლიდან ვალენსიის ბერკლის კოლეჯის წარმომადგენელი საქართველოში ანა ქასრაშვილი. იგი პირველი ქართველი კომპოზიტორია, რომელმაც 2017 წელს, ემის მფლობელ რიჩარდ ბელისის ხელმძღვანელობით, ჰოლივუდში ASCAP-ის კინომუსიკის ვორქშოპი გაიარა და იქ შექმნილი ნაწარმოები 20th Century Fox-ის ხმის ჩამწერ სტუდია Newman Scoring Stage-ში 64-კაციანი ორკესტრის შესრულებით ჩაწერა

ახალგაზრდა კომპოზიტორისა და გამაორკესტრებლის ანგარიშზეა 3 სრულმეტრაჟიანი ფილმის, ერთი სერიალისა და სხვადასხვა კინოსურათისთვის (ძირითადად, უცხოური) შექმნილი მუსიკა, ისიც - საკმაოდ მოკლე დროში, რაც მართლაც კარგი შედეგია.

- გაეცანით ჩვენს მკითხველს...

- დავიბადე ბათუმში, ბავშვობა ამ ქალაქში გავატარე, აქვე მივიღე მუსიკალური განათლება. ედნარ ქიქავას ხელმძღვანელობით ვსწავლობდი საკრავიერი ხელოვნების სკოლაში, ფორტეპიანოს ვერა გაბა მასწავლიდა. ამავე სასწავლებელში ადრეული ასაკიდან სოსო ბარდანაშვილი მასწავლიდა კომპოზიციას. სამწუხაროდ, მალევე საცხოვრებლად გადავიდა ისრაელში, ამის შემდეგ საკუთარი ძალებით ვცდილობდი განვითარებას ამ მიმართულებით. ფორტეპიანოს და ვიოლინოს ერთდროულად ვეუფლებოდი, მასწავლიდნენ ისეთი სახელოვანი პედაგოგები, როგორებიც არიან ირინა ხერჟი და თემურ შალვაშვილი. შემდეგ სწავლა გავაგრძელე რევაზ ლაღიძის სამუსიკო კოლეჯში საფორტეპიანო განხრით. პარალელურად, ჩავაბარე თბილისის ჯავახიშვილის უნივერსიტეტში ესპანური ენის ფაკულტეტზე. ეს იყო, ასე ვთქვათ, არამუსიკალური ეპიზოდი ჩემს ცხოვრებაში. ამის შემდეგ დაიწყო ოცნებების ახდენის პერიოდი. ჩავირიცხე ვალენსიის ბერკლის კოლეჯში. მოგეხსენებათ, რაოდენ რთულია თანხების მოძიება დამწყებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ სწავლა იყო 100-პროცენტიანი დაფინანსებით, საჭირო იყო თანხა საცხოვრებლით უზრუნველსაყოფად, რაშიც დამეხმარა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო. მოკლედ, ერთი წლით გავემგზავრე ესპანეთში და დავამთავრე მაგისტრატურა. დავსახელდი ფაკულტეტის საუკეთესო სტუდენტად და დავეუფლე კინომუსიკის ხელოვნებას, გავიარე ინტენსიური პროგრამა, შევიძინე დიდი გამოცდილება და დავუბრუნდი მშობლიურ ქალაქს.



- ვიცით, რომ არაერთი კონკურსის გამარჯვებული ხართ.

- ხანგრძლივი სწავლის შემდეგ დადგა ახალი ეტაპი ჩემს ცხოვრებაში. ვმონაწილეობდი არაერთ კონკურსში და ხშირად ვიმარჯვებდი კიდეც. 2015 წელს კალიფორნიის დამოუკიდებელი ფილმების ფესტივალის ფარგლებში გამართულ კინომუსიკის კონკურსზე პირველი ადგილი და „წლის კომპოზიტორის“ ტიტული მერგო. 2018 წელს ესპანური ღვინის კომპანია „ხუან ხილის“ მიერ დაარსებულ კინომუსიკის მე-2 საერთაშორისო კონკურსის გამარჯვებული ვარ, სადაც კინომუსიკის კონკურსების ისტორიაში საუნტრეკის შექმნისთვის ყველაზე მაღალი ჯილდო - 50 ათასი ევრო მოვიპოვე. 2020 წლის ზაფხულში ვმონაწილეობდი კრაკოვის კინომუსიკის საერთაშორისო კონკურსში, სადაც მეორე ადგილი ავიღე. კონკურსის ისტორიაში ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა ქალი კომპოზიტორი საუკეთესო სამეულში მოხვდა, რაც ძალიან მეამაყება. იმავე წლის შემოდგომაზე ბელგიაში World Soundtrack Awards 2020-ის SABAM-ის ახალგაზრდული ნომინაციის გამარჯვებული პირველი ქალი კომპოზიტორიც გავხდი.

- საქართველოში ჩატარებულ კონკურსებსა და პროექტებში თუ მონაწილეობდით?

- 2011 წელს (თუ არ ვცდები) ჩატარდა კონკურსი „სიმღერა ბათუმზე“, სადაც ჩემმა სიმღერამ აიღო პირველი ადგილი, გრან პრი კი გია ნიკოლაძის „ნიკოლშოუს“ ერგო. 2014 წელს თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრში რეჟისორ მანანა ბერიკაშვილის მიერ დადგმული მიუზიკლისთვის „ჩვენ გველის დიდება“ გადმომეცა ჯილდო - წლის საუკეთესო ნამუშევარი. 2016 წელს ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს მივუძღვენი სიმღერა, რომელიც ანსამბლმა „ბათუმმა“ შეასრულა. ამას 2021 წელს მოჰყვა პირველი სრულმეტრაჟიანი ბრიტანული ფილმის „გარიყული ბიჭი“ მუსიკალური გაფორმება. ცოტა ხნის წინ ვითანამშრომლე ქართველ რეჟისორებთან, დავასრულე გიორგი ქადაგიძისა და სოსო ბლიაძის მიერ გადაღებულ სერიალ „უხილავი თამაშის“ მუსიკალური გაფორმება, რომელიც ამჟამად გადის „კავეა პლუსზე“. პარალელურად, ვმუშაობ როგორც გამაორკესტრებელი.

- თქვენი წარმატების ფორმულა...

- უპირველესად, შრომისმოყვარეობა. ბავშვობიდან ყოველთვის მესმოდა, რომ ვარ ნიჭიერი, მაგრამ ეს არ იყო საკმარისი. სხვების მაგალითზე ვიცი, რომ მხოლოდ ნიჭი არ კმარა, მას განვითარება და მუდმივი შრომა სჭირდება. ამ ეტაპზე მხოლოდ ამით ვარ დაკავებული, ვცდილობ, ყოველი დღე გამოვიყენო და განვვითარდე.

- წარმატებამდე მისასვლელ რთულ გზაზე ვინ დაგეხმარათ?

- პირველ რიგში, მინდა აღვნიშნო დედაჩემის როლი ბავშვობიდან - დღემდე. ფაქტობრივად, მან დამაყენა ამ გზაზე და მისი ლომის წილია ჩემს წარმატებაში. დედამ დაინახა და სწორად შეაფასა ჩემი პოტენციალი და სწორი მიმართულება მისცა. მან მიმიყვანა ბატონ ედნარ ქიქავასთან სამუსიკო სკოლაში, სადაც ზუსტად ის მივიღე, რაც მჭირდებოდა და დღემდე მასაზრდოებს. მიხარია, რომ ბავშვობაში მიღებული ცოდნა სწორად განვავითარე. რაც უნდა ბევრი ადამიანი გედგას გვერდით, ბოლოს მაინც მარტო ხარ, მით უმეტეს, ხელოვანი. თავად აფასებ სიტუაციას, სად როგორ მოიქცე და ხვდები, სად გსურს ყოფნა, რა გჭირდება უპირველესად. ძალიან გამიმართლა, რომ დედა ყოველთვის ჩემ გვერდით იყო. რა გადაწყვეტილებაც უნდა მიმეღო, ყოველთვის ვგრძნობდი მის მხარდაჭერას, მაშინაც კი, როცა, სამუსიკო განათლების პარალელურად, ფილოლოგის პროფესია ავირჩიე ესპანურის განხრით.

- ფაქტია, რომ მეორე პროფესია და ენის ცოდნა ესპანეთში გზის გაკვალვაში დაგეხმარათ.

- ყველაფერი გაუთვალისწინებლად მოხდა. ენას რომ ვსწავლობდი, მაშინ არც მიფიქრია ესპანეთში განათლების მიღებაზე. ეს ბუნებრივად მოხდა. მიუხედავად იმისა, რომ სწავლა ინგლისურენოვანი იყო, ქვეყანაში ადაპტაციისთვის ძალიან დამეხმარა ენის ცოდნა. ყველაფერთან ერთად, სწავლობ იმ ქვეყნის კულტურას, ისტორიას, რაც კავშირშია მუსიკასთან, ხელოვნებასთან და ამ მხრივაც გამომართლა.

- წარმატებას უცხოეთში მიაღწიეთ, ამბობთ, რომ გაგიმართლათ ბევრ რამეში. როგორ ფიქრობთ, დამწყებ მუსიკოსებს რა მომავლი აქვთ საქართველოში?

- დამწყებ მუსიკოსებს დღეს ბევრად მეტი შესაძლებლობები აქვთ კარიერის დასაწყებად, ვიდრე ეს ჩემს დროს იყო. კარგია ისიც, რომ ამის შესაძლებლობა უცხოეთში გამგზავრების გარეშე - ონლაინკურსებითაა შესაძლებელი, რაც ჩემს დროს ნამდვილად არ იყო. ინტერნეტს ძალიან დიდი სიკეთეების მოტანა შეუძლია ამ მიმართულებით. უნდა დავუკავშირდეთ პროდიუსერს, რეჟისორს და დავაინტერესოთ ისინი. ჩემს შემთხვევაში ისე განვითარდა მოვლენები, რომ პირველ წარმატებას უცხოეთში სწორედ ამ გზით - ბრიტანული ფილმით მივაღწიე. ამასთან, ყოველთვის მსურდა, მეთანამშრომლა ქართველ რეჟისორებთან. ეს სურვილი წელს შემისრულდა სერიალზე მუშაობისას. მინდა აღვნიშნო, რომ მასში საუკეთესო მსახიობები არიან თავმოყრილი, ფუფუნებაა მათთან მუშაობა.

- სოციალურ ქსელს დიდი როლი აქვს პიროვნების წარმოჩენაში, შესაძლებელია ერთ დღეში ძალიან პოპულარული გავხდეთ. თქვენ თუ იყენებთ ამ შესაძლებლობას?

- აქტიური ინტერნეტმომხმარებელი ვარ - მაქვს პირადი ფეისბუქგვერდი და კომპოზიტორის გვერდიც, სადაც სიახლეებს ვაცნობ გულშემატკივრებს, ვსარგებლობ „ინსტაგრამითაც“. ხალხისგან ვგრძნობ უდიდეს მხარდაჭერას, ცდილობენ, გამოეხმაურონ ჩემს სიახლეებს, მათი გულთბილი სურვილები და მოლოცვები ძალიან მამხნევებს და დიდ სტიმულს მაძლევს. სამწუხაროდ, გარკვეული პერიოდი ერთგვარი პაუზა მქონდა ამ მიმართულებით. ზოგადად, არ გამოვირჩევი ვიდეოებისა და ლაივების ჩაწერით. მივხვდი, რომ ამ მხრივაც იყო საჭირო ჩემი აქტიურობა და დიდი ხანი არაა, რაც გამოვაცოცხლე ჩემი ინსტაგრამგვერდი. ვდებ სიმღერებს ჩემი შესრულებით, ვფიქრობ, კარგია ამგვარი ვიდეოები, სადაც ჩანს შენი ხასიათი, განწყობა, პროცესი თუ როგორ იქმნება ესა თუ ის კომპოზიცია, თუნდაც არ იყოს პროფესიონალურად გადაღებული.

- თქვენს შვილზეც გვითხარით რამე, დედის ნიჭი თუ გამოჰყვა?

- ერთი გოგონა მყავს - 6 წლის მართა ჯღარკავა, რომელიც ძალიან აქტიურია, სულ ცეკვავს, მღერის და, როგორც დედა ამბობს, ძალიან მგავს ბავშვობაში. მეც არ ვჩერდებოდი, სულ ვმღეროდი, დავხტოდი. მართას ძალიან უყვარს სიმღერა. მის ასაკში მე დაინტერესებული ვიყავი ფორტეპიანოზე სიმღერების აწყობით. ვფიქრობ, აუცილებლად უნდა მიიღოს მუსიკალური განათლება, თუმცა ბოლოს თავად აირჩევს, ცხოვრების გზა როგორ წარმართოს. მე, როგორც შემეძლება, ხელს შევუწყობ, ისევე, როგორც დედამ - მე.

- ერთგვარი ტენდენცია ჩამოყალიბდა: უმრავლესობა უკეთესი მომავლისა და ფინანსური კეთილდღეობისთვის ქვეყნიდან მიდის. თქვენს მომავალს თუ ხედავთ საქართველოში?

- ვფიქრობ, რომ ზუსტად ახლა მიდის ის პროცესი, როცა ჩვენი ახალი თაობა აშენებს ქვეყანას, რომელშიც უნდა იცხოვრონ ჩვენმა შვილებმა. ბევრჯერ მეც მაწუხებდა ფიქრები, ხომ არ წავსულიყავი იქ, სადაც აუცილებლად ვიპოვიდი ჩემს ადგილს და დავმკვიდრდებოდი, ბევრად მეტს მივაღწევდი, თუმცა არასოდეს მქონია წასვლის დაუოკებელი სურვილი. არ არის მარტივი ყველაფრის მიტოვება, ძალიან ბევრი გამოწვევის წინაშე დგები. პირადად მე, სიმართლე გითხრათ, ძალიან მინდა, სხვებთან ერთად შევქმნა განათლების ბაზა, ფეხი ავუწყოთ სიახლეებს და დავეხმაროთ ახალ თაობას. არაჩვეულებრივი პედაგოგები გვყავს, ძალიან ძლიერი სკოლა გვაქვს, თუმცა არის ბევრი საკითხი, რის გამოც, სამწუხაროდ, მასობრივად ხდება კადრების გადინება.

- რის გამოსწორებას ისურვებდით უპირველესად?

იხ. მე-9 გვ.

სიკეთე, როგორც ცხოვრების მთავარი მოტივაცია – თორნიკე ნინიკაშვილის ისტორია

თამარ ლამპარაძე 595 85 80 06

ილია ჭავჭავაძე ამბობდა: „ყველა კაცმა რომ იგი სიკეთე ჰქმნას, რის შემძლებიც არის, ქვეყნიერებაზე უბედურნი აღარ იქნებიან“. მართლაც, ასეა. კეთილი საქმე ადამიანებისთვის უფალთან მიახლოებას ნიშნავს. იგი სულიერი სიმშვიდის საზრდოა. სიკეთე ცხოვრებაში ბუმერანგივით გვიბრუნდება, მთავარია, უანგაროდ ვაკეთოთ

დღეს გაგაცნობთ სიკეთის უბადლო შემძლეს, 26 წლის ***თორნიკე ნინიკაშვილს,*** *რომელიც ამავე დროს ძალიან იღბლიანიცაა.*

- მოდით, მკითხველს გაეცანით...

- დავიბადე და გავიზარდე ზესტაფონის რაიონის სოფელ ალავერდში. საუბარი 5 წლის ასაკში დავიწყე. შიშობდნენ, რომ საერთოდ ვერ ვილაპარაკებდი. საბედნიეროდ, ასე არ მოხდა. დავიწყე და შემდეგ აღარ გავჩუმებულვარ, მეზობლებთან გადავდიოდი და ვთხოვდი, დამლაპარაკებოდნენ. ბავშვობაში ძალიან ცელქი, ჰიპერაქტიური ვიყავი, რაც დიდობაში ძალიან დამეხმარა. სოფელში ვიზრდებოდი, ძალიან გვიჭირდა. დედა მაშინ სოფლის ნობათს ყიდდა, რომ თავი გვერჩინა. როცა წამოვიზარდე, დედას ბაზარში აღარ ვუშვებდი, თავად დავდიოდი მის ნაცვლად. დღესაც, როცა ზესტაფონის ბაზარში მივდივარ, ყველა მცნობს და დიდი სიყვარულით მეგებებიან. სკოლას რომ ვამთავრებდი, რეპეტიტორებთან მომზადების საშუალება არ მქონდა, ჩემი ძალებით ვსწავლობდი, თუმცა საკმაოდ კარგი ქულები ავიღე და ჩავირიცხე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, იურიდიულ ფაკულტეტზე. თბილისში გადასვლა ძალიან გამიჭირდა. ჩემთვის უცხო ქალაქსა და გარემოში ცხოვრება რთული აღმოჩნდა. ამას ისიც ერთვოდა, რომ ჩემს ოჯახს მაშინ ძალიან ცუდი მატერიალური მდგომარეობა ჰქონდა. ძალიან მიჭირს იმ წლების გახსენება. ისეთ გამოუვალ მდგომარეობაში აღმოვჩნდი, ჩემი ერთ-ერთი ახლობლისთვის მომიწია დარეკვა, რომ დამხმარებოდა. ვაჟა არეშიძემ მიმიღო როგორც საკუთარი შვილი და მიპატრონა. ცხოვრების ბოლომდე მისი მადლიერი დავრჩები. პირველი სამსახური კომპანია „ვისოლში“ დავიწყე, სადაც საოცარი ადამიანები გავიცანი - ვასილ სოლომონაშვილი და თეიმურაზ აფციაური, რომლებიც ძალიან დამეხმარნენ და ოჯახის წევრებივით გვერდით დამიდგნენ.

- ძალიან იღბლიანი ხართ. პირველი საფულის პოვნაზე გვიამბეთ...

- ბევრი მცდელობის მიუხედავად, უსახსრობის გამო სწავლის შეწყვეტა მომიხდა, კომპანია „გლოვოში“ კურიერად დავიწყე მუშაობა, სწავლის გასაგრძელებლად ფული რომ შემეგროვებინა. მუშაობის დაწყებიდან მალევე ვიპოვე პირველი საფულე. 12 საათი გაუჩერებლად დავდიოდი და სულ ყურადღებით ვიყავი. იმ დღეს „სითი მოლთან“ მივედი და მოტოციკლი გავაჩერე. დავინახე, ძირს სქელი და დიდი საფულე ეგდო. ავიღე, გავხსენი, შიგ დიდი თანხა იდო. დათვლის სურვილი არ გამჩენია. შემდეგ ახლობელს დავურეკე, რომელიც პოლიციაში მუშაობს. მან მირჩია, რომ საფულე პოლიციაში მიმეტანა და თავად იპოვნიდნენ, ვინც დაკარგა, მაგრამ, მოგეხსენებათ, პოლიციაში მისვლას და შემდგომ პროცედურებს რამდენი დროც სჭირდება, ამიტომ გადავწყვიტე, ეს ამბავი „ფეისბუქის“ ჩემს კედელზე გამომექვეყნებინა, პირადობასაც გადავუდე ფოტო, რომ უკეთ ეცნოთ საფულის მფლობელი და სოციალური ქსელიდან გამოვედი. სამი შეკვეთა მქონდა მისატანი და „ფეისბუქში“ აღარც შევსულვარ. როდესაც შევედი, ვნახე, რომ ჩემს პოსტს ძალიან ბევრი გაზიარება ჰქონდა და ასე ვიპოვე ის, ვინც საფულე დაკარგა.

- შეხვედრის ემოციებზე გვითხარით...

- როცა მოვიდა, გახარებული ჩამეხუტა და დიდი სითბო მაგრძნობინა, საოცარი მადლიერება გამოხატა, თუმცა, მგონი, მე მასზე უფრო გახარებული ვიყავი, რომ გავბედნიერე ის ადამიანი. მისმა ოჯახმა სახლშიც მიმიპატიჟა.

- ყალბი პროფილით თუ დაგიკავშირდნენ?

- სამწუხაროდ, ძალიან ბევრი ისეთი ადამიანი დამიკავშირდა, საფულის პატრონობას რომ იბრალებდა. მაშინ ძალიან დიდი შიში დამეუფლა, რადგან ასეთი ხალხი ფულის გამო ყველაფერზეა წამსვლელი. ძალიან ბევრი თბილი კომენტარიც დაიწერა.

- ელოდით საზოგადოების მხრიდან თქვენ მიმართ ასეთ მადლიერებას?

- არა. ძალიან ბევრი ადამიანი მწერდა და მადლობას მიხდიდა იმისთვის, რაც გავაკეთე. ბევრმა მადლიერების ნიშნად ფულიც ჩამირიცხა, ჩემი დაჟინებული უარის მიუხედავად. ემიგრანტმა ამერიკიდან 500 დოლარი ჩამირიცხა. არ დამავიწყდება ქალბატონი ხათუნა ვარშანიძე აჭარიდან, რომელიც ერთ-ერთი კლინიკის მენეჯერია. მან თანამშრომლებთან ერთად შეაგროვა 500 ლარი და მადლიერების ნიშნად გადმომცა. ფულს ხალხიც მირიცხავდა ანგარიშზე, შემდეგ უკვე ჟურნალისტმა ნანუკა ჟორჟოლიანმა მიმიწვია საკუთარ გადაცემაში და დამიფინანსა, ჯარიმებთან ერთად, ერთი წლის სწავლის ფული. ეს ჩემთვის უდიდესი ემოცია იყო. თქვენი მეშვეობით კიდევ ერთხელ მინდა მადლობა გადუხადო იმ ადამიანებს, რომლებიც გვერდით დამიდგნენ. ასევე, რამდენიმე მეგობარმა პოსტზე შინაგან საქმეთა სამინისტრო მონიშნა. საფულე მფლობელს რომ დავუბრუნე, ბევრი მწერდა სამინისტროდან და მადლობას მიხდიდნენ ჩემი საქციელის გამო, პატრულის თანამშრომლები მაჩერებდნენ გზაზე და ხელს მართმევდნენ. ჩემს მშობლებს ყველა სიყვარულით ხვდებოდა რაიონში და ისინიც უბედნიერესები იყვნენ.

- ამ ამბის შემდეგ კვლავ იპოვეთ საფულე და ისევ დააბრუნეთ. როგორ ფიქრობთ, უფლის გამოცდა ხომ არ იყო?

- მეორე საფულე, რომელიც ძალიან ცუდ ამინდში ვიპოვე, დავით ბექაურის აღმოჩნდა. არასდროს დამავიწყდება მისი ბედნიერი თვალები, მისი ცრემლები და ჩახუტება, რომელიც ცხოვრებაში მეგზურად მიმყვება. მას საფულეში პოლონური საბუთი ჰქონდა, რის გარეშეც უმუშევარი რჩებოდა და თავიდან ამ საბუთის გაკეთება ძალიან ძვირი ღირდა. მისთვის ფულზე მთავარი საბუთი იყო. დავითმა 100 ლარით დამასაჩუქრა და თან უდიდესი ბედნიერების განცდა გამომატანა. ერთხელ ძვირად ღირებული მობილური ტელეფონი ვიპოვე, პატრონი მოვძებნე და დავუბრუნე. მასში მნიშვნელოვანი ფოტოები და ინფორმაცია ჰქონდა. ტელეფონის პატრონმაც მაჩუქა ფული. ზოგადად, თუ რამე ნივთს ვპოულობ, მიმაქვს და იმ წამსვე უკან ვბრუნდები, რადგან პატრონისგან სამაგიეროს გადახდას არ ველოდები. ვფიქრობ, ძალიან იღბლიანი ვარ, რადგან დაკარგულ ნივთებს ვპოულობ და მათ პატრონებს ვახარებ. ბედნიერი ვარ, რომ უფალმა მომცა საშუალება, სიხარული მეჩუქებინა ჩემთვის სრულიად უცხო ადამიანებისთვის.

- როგორ შეცვალა ამ ამბებმა თქვენი ცხოვრება?

- საზოგადოებამ ჩემი ქმედებები ძალიან დადებითად მიიღო და დიდი სიყვარული და პატივისცემა მაგრძნობინა. იმ პერიოდში სოციალური ქსელი, შეიძლება ითქვას, დადებითი კომენტარებით აფეთქდა. მათი კითხვით უბედნიერესი ვიყავი და ეს ყველაფერი ჩემში სიკეთეს უფრო აღრმავებდა. ვცდილობ, ყველაფერი კარგი ვაკეთო ამ ცხოვრებაში და, ალბათ, იმისთვის ვარ დაბადებული, რომ ადამიანებს ჩავეხუტო, მოვეფერო და გვერდით დავუდგე.

- სიკეთე სიკეთით დაგიბრუნდათ. „ვისოლის“ გათამაშებაში მანქანა მოიგეთ...

- ამ ამბების შემდეგ კვლავ დამიკავშირდა „ვისოლში“ ცვლის უფროსი თეიმურაზ აფციაური და მთხოვა, სამსახურში დავბრუნებულიყავი, რადგან კურიერობა, მოგეხსენებათ, ძალიან სახიფათო სამსახურია. ასეც მოვიქეცი. „ვისოლს“ ჰქონდა გათამაშება, სადაც შემთხვევითობის პრინციპით მანქანას იგებდნენ ადამიანები, ვინც ბენზინს ისხამს და ვინც ბენზინს უსხამს. სამსახურში დაბრუნებიდან 3-4 თვეში „ვისოლმა“ მანქანა გაათამაშა. მოგების შანსი მილიონში ერთი იყო, მაგრამ ის იღბლიანი მე აღმოვჩნდი. იმ ბედნიერ დღეს, სანამ მანქანას მოვიგებდი, ატირებულმა გავიღვიძე, ოღონდ არ ვიცოდი, რატომ ვტიროდი. ვფიქრობ, შინაგანმა გრძნობამ მიკარნახა. სასწაული ისაა, რომ იმ დღეს სამსახურში ცვლის უფროსი მე ვიყავი და 12 საათზე რომ შევედი სალაროსთან ფულის დასათვლელად, საღამოს 6 საათამდე გარეთ აღარ გამოვსულვარ. ჩემი ორი თანამშრომელი მოვიდა და მთხოვა, გავსულიყავი და მომხმარებლისთვის ბენზინი ჩამესხა. ეს ის მანქანა იყო, რომელშიც ბენზინის ჩასხმის შედეგად, შემთხვევითობის პრინციპით, მოვიგე მანქანა. ვფიქრობ, ეს უფლის საჩუქარია.

- თანამედროვე გმირად გიხსენიებენ...

- არ მიყვარს, როდესაც ასე მიხსენიებენ. ვფიქრობ, სიკეთე ყველამ უნდა აკეთოს და ამაში გასაკვირი არაფერია. მე ახალგაზრდებს მოვუწოდებ სიკეთის კეთებისკენ, რადგან ეს საუკეთესო გრძნობაა.

- თქვენს ცხოვრებაში მანქანის მოგებამ რა შეცვალა?

- მოგებული მანქანა გავყიდე და მთელი ფული ჩემი ოჯახის სოფლის მეურნეობის და მესაქონლეობის განვითარებაში ჩავდე: გავაკეთე სანერგე მეურნეობა, დავრგე წითელი დროშის ჯიშის ტყემლის უამრავი ნერგი, რაც შემოსავლიანია. ვიყიდე ბევრი მსხვილფეხა პირუტყვი და ჩემი ოჯახი დღეს აწარმოებს ნატურალურ რძის პროდუქტებს. შემიძლია ვთქვა, რომ ჩემი ოჯახის ცხოვრება რადიკალურად შეიცვალა უკეთესისკენ.

- რაზე ოცნებობთ?

- ჩემი ოცნება ნაწილობრივ ასრულდა. თავიდან მცირე დროით ვაპირებდი ამერიკაში წასვლას და ფულის დაგროვებას, რომ შემდეგ ჩემს სოფელში დავბრუნებულიყავი და ბიზნესი დამეწყო, თუმცა მოხდა ისე, რომ მანქანა მოვიგე და ამ ფულით უკვე ვგეგმავ, ჩემს ქვეყანაში გავაკეთო ყველაფერი, დავაგროვო ფული და შემდეგ წავიდე სხვადასხვა ქვეყანაში სამოგზაუროდ.

- ბედნიერი ხართ?

- ძალიან. უფალმა უანგაროდ გაკეთებული სიკეთე ასმაგად უკან დამიბრუნა. მე საზოგადოებას სიკეთის კეთების სტიმული მივეცი და ამით უბედნიერესი ვარ.

- „კარგი ქენი, ქვაზე დადე, გაიარე, წინ დაგხვდება“, ასეა?

- ჩემს შემთხვევაში ასე მოხდა. არასდროს არავისი შეგშურდეთ, მტერიც კი უნდა გიყვარდეთ. ყოველთვის გულწრფელი სიკეთე უნდა გააკეთოთ, რადგან უფალი თქვენს ყველა ნაბიჯს ხედავს. სიკეთე ანგარების გამო არასდროს გააკეთოთ. სიკეთის კეთება სულიერ მდგომარეობას აძლიერებს და თავად უფალთანაც უფრო ახლოს ხართ.

> ***„მოგებული მანქანა გავყიდე და მთელი ფული ჩემი ოჯახის სოფლის მეურნეობის და მესაქონლეობის განვითარებაში ჩავდე: გავაკეთე სანერგე მეურნეობა, დავრგე წითელი დროშის ჯიშის ტყემლის უამრავი ნერგი, რაც შემოსავლიანია. ვიყიდე ბევრი მსხვილფეხა პირუტყვი და ჩემი ოჯახი დღეს აწარმოებს ნატურალურ რძის პროდუქტებს. შემიძლია ვთქვა, რომ ჩემი ოჯახის ცხოვრება რადიკალურად შეიცვალა უკეთესისკენ***

„დინამო“ ბათუმმა მოიგო, მაგრამ...

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

ბათუმის „დინამო“ გუშინწინ ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე „ლუდოგორეცთან“ ორი მატჩის შედეგით დამარცხდა. ის ბრძოლას უკვე კონფერენს ლიგაზე განაგრძობს.

პირველი შეხვედრა „ლუდოგორეცთან“ ბათუმელებმა სტუმრად ანგარიშით 3:1 წააგეს და, შესაბამისად, მეორე შეხვედრა სამი ქულის სხვაობით უნდა მოეგოთ.

აღნიშნულ შეხვედრას „აჭარაბეთ არენამ“ უმასპინძლა, რომელსაც გულშემატკივარი არ აკლდა. ჩვენმა გუნდმა მინიმალური ანგარიშით - 1:0 დაამარცხა მეტოქე. ეს გოლი ვლადიმერ მამუჩაშვილმა თამაშის დაწყებიდან მესამე წუთზე გაიტანა. ყველაფერი ისე დაიწყო, რომ ყველას დიდი იმედი ჩაესახა. მეექვსე წუთზე იგივე მამუჩაშვილმა კიდევ გაიტანა გოლი, მაგრამ, სამწუხაროდ, მსაჯმა გაუგებარი გადაწყვეტილება მიიღო, გოლი არ ჩათვალა და პირიქით, სტუმრების სასარგებლოდ ჯარიმა დანიშნა. „დინამოს“ კიდევ არაერთი საგოლე მომენტი ჰქონდა, რომელიც ვერ გამოიყენა - აქ უიღბლობამაც ითამაშა თავისი როლი.

მართალია მოვიგეთ, მაგრამ უფრო დიდი ანგარიშითაც შეგვეძლო. მთლიანობაში საინტერესო თამაში გამოვიდა, გამორჩეულად პირველი ტაიმის პირველი 10-15 წუთი, როცა ჩვენი გუნდი სრულ უპირატესობას ფლობდა. ამ ანგარიშით მოგებამ ბათუმს ვერ უშველა, ჩემპიონთა ლიგის კვალიფიკაციაში ასპარეზობას გამოეთიშა და კონფერენს ლიგაზე გადაინაცვლა, სადაც პირველ შეხვედრას 25 ივლისს ისევ ბათუმში, ხოლო 1 აგვისტოს - სტუმრად გამართავს.

ზაფხული, ზღვა და ცხელი სიმინდი...

თამარ ლამპარაძე 595 85 80 06

„ცხელი სიმინდი“ - ალბათ პლაჟზე წოლის დროს ბევრჯერ გაგიგონიათ ეს სიტყვები და გემრიელადაც მიგირთმევიათ. აჭარაში მცხოვრები ადგილობრივებისთვის სიმინდის გაყიდვა ზაფხულის მოსვლასთან ერთად შემოსავლის წყაროსთანაც ასოცირდება

ჩვენი დღევანდელი რესპონდენტი 57 წლის ბათუმელი ნელი როდინაძეა, რომელიც 10 წელზე მეტია, ბათუმის პლაჟზე სეზონურად ყიდის ცხელ სიმინდს და საკუთარი კლიენტებიც ჰყავს.

- რომელ საათზე გამოდიხართ სამუშაოდ?

- როდესაც მოვახერხებ ოჯახიდან გამოსვლას, ასე დათქმული დრო არ მაქვს, მაგრამ პირველ საათამდე ყველა შემთხვევაში ვიწყებ მუშაობას. სახლში დაბრუნების დროც სიმინდის გაყიდვაზეა დამოკიდებული.

- რამდენად შემოსავლიანია თქვენი საქმე?

- ეს ადამიანის შრომაზეა დამოკიდებული, თუ მოინდომებს, შემოსავალიც კარგად ექნება. მე ყოველდღე ვმუშაობ. დღეში თითქმის 20 კილომეტრს გავდივარ და რომ არ მიღირდეს, ამას არ გავაკეთებდი. დღეში მრჩება ხან 50 ლარი, ხან - ნაკლები, ხან -

მეტი, გააჩნია, რა მექნება სიმინდთან ერთად გასაყიდი. თუ ვყიდი მიწის თხილს, ბურბუშელას, სიმითს, მაშინ ბევრ ფულს ვაკეთებ და თუ მხოლოდ სიმინდს გავყიდი, რა თქმა უნდა, ნაკლები ფული დამრჩება.

- მხოლოდ სეზონურად მუშაობთ თუ ძირითადი სამსახურიც გაქვთ?

- მე არაფერი მეთაკილება და, შესაბამისად, სამსახურს ყოველთვის ვპოულობ, როცა მჭირდება. ამ ეტაპზე მხოლოდ ამ საქმით ვარ დაკავებული და სეზონი რომ დასრულდება, არ გამიჭირდება სამსახურის პოვნა.

- წელს დიდი რაოდენობით ტურისტია?

- ტურისტები არიან, მაგრამ ბევრი - არა. ჯერ ეროვნული გამოცდები არ დასრულებულა. ახლა ხალხი მხოლოდ გამოცდებზეა გადართული და ზღვის დრო არ აქვთ (იცინის). ყოველწლიურად 20 ივლისის მერე მოდის ხალხი დასასვენებლად და წელსაც ასე ველოდებით. ტურისტების პირველი ნაკადი შემოდის, როდესაც სკოლა იხსნება, ხოლო მეორე ნაკადი - ეროვნული გამოცდების შემდეგ.

- ბევრს ეთაკილება პლაჟზე სიარული სიმინდის გასაყიდად.

- პატიოსან შრომას არაფერი სჯობს და ის კომპლექსები, რაც ასეთ ადამიანებს აქვთ, აუცილებლად უნდა დაძლიონ. ვფიქრობ, უმოქმედოდ ყოფნა უფრო სამარცხვინოა. სამუშაოდ საზღვარგარეთ წასვლას მირჩევნია აქ, სიმინდი გავყიდო და საღამოს ჩემს ოჯახთან ერთად დავიძინო. ერთ დროს სანეპიდსადგურის კვების განყოფილებაში ვმუშაობდი, მქონდა კარგი სამსახური, კარგი შემოსავალი. ვინმეს რომ ჩემთვის ეთქვა, დრო მოვა და სიმინდს გაყიდიო, არ დავიჯერებდი. რა შემოსავალიც მაქვს, მყოფნის. უფალს მადლობა, რომ ჩემი ოჯახის წევრები კარგად არიან, არ მაქვს ბანკის ვალი და ბედნიერი ვარ.

- თქვენს საქმეში თუ არის კონკურენცია?

- რა თქმა უნდა. მე ჩემი კლიენტები მყავს, რადგან ერთხელ რომ იყიდეს ჩემი სიმინდი და ნახეს, რომ კარგია, სუფთად ვმუშაობ, შემდეგ სულ ჩემგან ყიდულობენ. სიმინდი ყოველთვის ცოტა გამომაქვს, რომ ცხელი იყოს და შემდეგ ვამატებ. კლიენტები მელოდებიან, რომ ჩემი სიმინდი იყიდონ. დამსვენებლებთან უშუალო ურთიერთობა მაქვს, მათთან ვსაუბრობ კიდეც.

- დასვენების დრო გრჩებათ?

- მუშაობასთან ერთად ვისვენებ კიდეც. ვინც სიმინდს ვყიდით, პლაჟზე გამოყოფილი გვაქვს სივრცე, სადაც ვისვენებთ. იქ ვჭამთ, ყავას ვსვამთ, ვსაუბრობთ, ვბანაობთ და ასე გაგვყავს დრო.

პოეტები და მუსიკოსები - მთებში

მწერალ ვახტანგ გოგრაჭაძისა და პოეტ ნანა შაინიძის ინიციატივითა და ორგანიზებით რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა. უქმად ყოფნა არც ამ ზაფხულში ისურვეს. „ლიტერატურა იალაღებზე“ - ასეთი სახელწოდება შეურჩიეს ახალ პროექტს. მათ შეუერთდნენ აჭარის მთიანეთში დაბადებული პოეტები: გულიკო გაბაიძე, პაატა აბაშიძე, ჯაბა გორგილაძე, რამაზ ხმალაძე, მუსიკოსები ლევან სურმანიძე, მამუკა გორგაძე, დავით ანანიძე

პირველი გასვლა აჭარა-შავშეთის ქედის განშტოებაზე, მთა სარიჩაირში ჰქონდათ. აქ ზაფხულს ატარებენ ხიხაძირელები, სხალთელები, ცხმორისელები.

პროექტი მარტო ლექსების კითხვას, მთებში მყოფთა მუსიკალური ნომრებით გართობას არ ითვალისწინებს. ინიციატორები იწერენ ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს, ჯერ კიდევ შემონახული ხალხური თამაშების სცენარებს, ცეკვა-სიმღერებს.

- სასკოლო ასაკისა გახლდით, როცა ოჯახთან ერთად საცხოვრებლად ლანჩხუთის რაიონში გადავედი. იგი ჩემთვის მშობლიური გახდა, მაგრამ აჭარის მთიანეთსაც გულში ვიხუტებ. სამუშაოც აქ გამოვნახე. სარიჩაირის მონახულება მიზნად მქონდა და ავისრულე. საინტერესო და შინაარსიანი პროექტი გამოგვივიდა. მემთეურებმა კეთილი სურვილები გამოგვაყოლეს, - გვითხრა ნანა შაინიძემ.

მთა თეთრობი მესხეთის ქედის განშტოებაზეა. აქ ზაფხულს სხალთელი და შუახეველი მემთეურები, მათი სტუმრები და ბავშვები ატარებენ. პოეტებსა და მუსიკოსებს შეკრებილები სიხარულით შეხვდნენ. აქ ისიც ითქვა, რომ ეს მთა ბოლო წლებში ერთობ მივიწყებულია.

- სარიჩაირიდან თეთრობზე გადასვლა იოლი არ იყო, - გვითხრა ჯაბა გორგილაძემ. თუმცა მადლიერების დიდი გრძნობით დავტოვეთ ეს მთა.

დაბა ქედიდან 30 კილომეტრზე მეტი უნდა გაიარო, რომ მთა კოსლითავში ახვიდე. ეს ტერიტორია აჭარა-შავშეთის ქედის ერთ გორაკზეა, ადრე აქ ზაფხულს მერისის ხეობიდან 80-ზე მეტი ოჯახი ატარებდა. ახლა მათი რაოდენობა განახევრებულია. ქედის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა მემთეურების ხელშესაწყობად ბევრს აკეთებს. მოწესრიგებულია საავტომობილო გზა, მთა ელექტრიფიცირებულია. მერისელები პროექტის მონაწილეებს სიხარულით შეხვდნენ.

ღონისძიება ვახტანგ გოგრაჭაძემ გახსნა. პოეტებმა ლექსები წაიკითხეს, მუსიკოსებმა იმღერეს, ცეკვის რიგი რომ მოვიდა, გულიკო გაბაიძეს მჯობნი არ ჰყავდა. მან და ვახტანგ გოგრაჭაძემ მერისელებიც აიყოლიეს. მემთეურებსა და ბავშვებს საჩუქრად წიგნები დაუტოვეს. რამდენიმე მონაწილეს სერტიფიკატები გადასცეს.

- პროექტი გრძელდება, - თქვა ვახტანგ გოგრაჭაძემ. „შუამთობის“ სახალხო დღესასწაულის დაწყებამდე კიდევ ერთ მთაში ავალთ და მემთეურებს მოვეფერებით.

„წლის კომპოზიტორის“ ტიტული - კალიფორნიაში, ესპანეთის კინომუსიკის საერთაშორისო ფესტივალის გამარჯვებული... კიდევ რით შეუძლია იამაყოს ანა ქასრაშვილმა?

მე-7 გვერდიდან

- ჩემს სფეროზე ვიტყვი მხოლოდ. ჩვენ გვაქვს ძალიან ძლიერი საფორტეპიანო სკოლა. ვისურვებდი, ასევე იყოს ყველა საკრავი ინსტრუმენტისთვის, ბავშვობიდანვე იყოს შესაძლებელი საფუძვლიანი განათლების მიღება. ბატონ ედნარ ქიქავას ჰქონდა ასეთი მიდგომა - მის სტუდიაში ორი ინსტრუმენტის დაუფლების შესაძლებლობას გაძლევდა. მაგალითად, მე ფორტეპიანოს პარალელურად ვიოლინოზე დაკვრას ვეუფლებოდი, სხვები - ჰობოის, ფლეიტას და ასე შემდეგ. მინდა ეს სკოლა მოძლიერდეს ჩვენთან და ფინანსური დაინტერესებაც მეტი იყოს. ბევრს გაუჩნდეს სწავლის სურვილი, რომლებსაც ეცოდინებათ, რომ შემდეგ დაუკრავენ ორკესტრში და, შესაბამისად, ექნებათ კარგი შემოსავალი, შეეძლებათ თავის რჩენა და აღარ იფიქრებენ ქვეყნიდან წასვლაზე. დაინტერესებული ადამიანი თუ ხედავს, რომ არ არის მოთხოვნა მის სპეციალობაზე, ინტერესიც მცირდება. ჩემი აზრით, მეტი ფული უნდა ჩაიდოს ამ მიმართულებით. გასაძლიერებელია საკომპოზიციო სკოლა და კინომუსიკის მიმართულება. ძალიან მოკლე დროით ვასწავლიდი თბილისის კონსერვატორიაში, ასევე, მქონდა სამთვიანი კურსი ბათუმში, სადაც 12 მოსწავლე მყავდა, ვასწავლიდი კინომუსიკისა და გაორკესტრების ხელოვნებას. აუცილებლად ვფიქრობ ამის გაგრძელებას, რათა კიდევ უფრო გაღრმავდეს ახალი თაობის ცოდნა ამ მიმართულებით, შესაბამისად, გაიზარდოს მოთხოვნილება.

- კინომუსიკოსებიდან რომელს გამოარჩევთ, ვინ არის თქვენთვის მისაბაძი?

- ძველი თაობიდან ძალიან მიყვარს ჰენრი მანჩინი, ჯონ უილიამსი, გაბრიელ იარედი, ალექსანდრე დესპლა. ძალიან მიყვარს არჩილ კერესელიძე. მიყვარს ძველი ქართული ფილმები და მათი მუსიკალური გაფორმება, შეიძლება ითქვას, ზეპირადაც კი ვიცი. ძალიან მიყვარს გენიალური გია ყანჩელის შემოქმედება.

- ამ ეტაპზე რაზე მუშაობთ, შემოთავაზებები თუ გაქვთ?

- დავასრულე ზემოთ აღნიშნული სერიალის მუსიკალურ გაფორმებაზე მუშაობა და ვისვენებ. ასევე, დაწყებული მაქვს სრულმეტრაჟიანი ფილმის მუსიკაზე მუშაობა, რომელიც ჯერ არ დამისრულებია. ვისურვებდი უფრო მეტ პროექტს, მაქვს გეგმები, მაგრამ ჯერ არ გავამხელ. ძალიან ბევრი კინოკომპოზიტორია, კონკურენციაა და ამ მხრივაც დიდი გამოწვევის წინაშე ვართ. ნებისმიერი ფილმი, რომელზეც ვმუშაობ, კარგი შედეგის შემთხვევაში განაპირობებს ჩემით - როგორც კომპლექსები, რაც ასეთ ადამიანებს აქვთ, აუცილებლად უნდა დაძლიონ. ვფიქრობ, უმოქმედოდ ყოფნა უფრო სამარცხვინოა. სამუშაოდ საზღვარგარეთ წასვლას მირჩევნია აქ, სიმინდი გავყიდო და საღამოს ჩემს ოჯახთან ერთად დავიძინო. ერთ დროს სანეპიდსადგურის კვების განყოფილებაში ვმუშაობდი, მქონდა კარგი სამსახური, კარგი შემოსავალი. ვინმეს რომ ჩემთვის ეთქვა, დრო მოვა და სიმინდს გაყიდიო, არ დავიჯერებდი. რა შემოსავალიც მაქვს, მყოფნის. უფალს მადლობა, რომ ჩემი ოჯახის წევრები კარგად არიან, არ მაქვს ბანკის ვალი და ბედნიერი ვარ.

- თქვენს საქმეში თუ არის კონკურენცია?

- რა თქმა უნდა. მე ჩემი კლიენტები მყავს, რადგან ერთხელ რომ იყიდეს ჩემი სიმინდი და ნახეს, რომ კარგია, სუფთად ვმუშაობ, შემდეგ სულ ჩემგან ყიდულობენ. სიმინდი ყოველთვის ცოტა გამომაქვს, რომ ცხელი იყოს და შემდეგ ვამატებ. კლიენტები მელოდებიან, რომ ჩემი სიმინდი იყიდონ. დამსვენებლებთან უშუალო ურთიერთობა მაქვს, მათთან ვსაუბრობ კიდეც.

- დასვენების დრო გრჩებათ?

- მუშაობასთან ერთად ვისვენებ კიდეც. ვინც სიმინდს ვყიდით, პლაჟზე გამოყოფილი გვაქვს სივრცე, სადაც ვისვენებთ. იქ ვჭამთ, ყავას ვსვამთ, ვსაუბრობთ, ვბანაობთ და ასე გაგვყავს დრო.

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომცემელი
ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

R
რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «ბაზეთი აჭარა და აჯარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბალდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლ დოვის ქ. №2
ტელ: 27-13-31
აინწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 18/07/24, 18 35 სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

პოეტი, რომელსაც მუნდირი აცვია

ნანა აბულაძე 577 20 35 90

პროექტის „მწერლის საათი“ ფარგლებში, აჭარის მწერალთა სახლმა პოეტ ნანა ნანო შაინიძის პოეზიის საღამოს „ჰორტენზიების ბაღი“ უმასპინძლა. პოეტი განსაკუთრებული გულწრფელობითა და სიყვარულით ეფერება სამშობლოს, ადამიანებს, ქართულ სიტყვას, ადათ-წესებს, მიაჩნია, რომ ქართველობა უდიდეს ბედნიერებასთან ერთად, პასუხისმგებლობაც არის. თვლის, რომ მისი შემოქმედების მთავარი „იარაღი“ გულწრფელი სიტყვაა, რომელიც აუცილებლად იპოვის გზას ადამიანის გულისკენ

- არასდროს ვტყუი მკითხველთან, ვწერ იმას, რასაც განვიცდი, ვხედავ და აღვიქვამ. როცა მტკივა, სხვანაირად მეწერება. ძირითადად, სწორედ ტკივილი, მონატრება, სევდა მაწერინებს. პოეზიას უიდიდესი როლი აქვს ჩემს ცხოვრებაში. რა დოზითაც ვწერ, ვერ ვიტყვი, რომ მაკმაყოფილებს, მაგრამ მეხმარება ჩემს ყოფიერებასა თუ სულიერებაში არსებული პრობლემების დაძლევაში, მათგან გათავისუფლებაში, სცენა კი აბსოლუტურად განსხვავებული სამყაროა, სადაც ყველაზე თავისუფალი ვარ. თავიდანვე რომ მქონოდა პროფესიის არჩევის შესაძლებლობა, როგორც მსახიობი, მთელ ცხოვრებას სცენაზე გავატარებდი. ბავშვობიდან ზის ეს ხასიათი ჩემში. მამა მყავდა „კომიკოსი“ - ერთი თეატრის მსახიობს ეძახდნენ, ძალიან ენაკვიმატი ადამიანი იყო. მისი ხასიათი გამომყვა, - აღნიშნა პოეტმა.

სამშობლოს სიყვარული მთელი არსებით აქვს გათავისებული, ამას მოწმობს ისიც, რომ დღეს ნანა ნანო შაინიძე რეზერვისტად მსახურობს ჯარში და, როგორც ამბობს, მზად არის, თუ სამშობლოს დასჭირდება, სიცოცხლეც გაიღოს მისთვის.

- ბავშვობიდანვე, ჩემში შინაგანად იჯდა „კაცი“. ვაჟკაცების დასაცავია სამშობლო, მაგრამ ასე მგონია, არანაკლები როლი ჰქონდა და აქვს საქართველოს ისტორიაში ქალს. დღესაც ჯარიდან დანახული და აღქმული საქართველო სულ სხვანაირია. იქ სხვა ვალდებულებებია, არ გაქვს არჩევანის თავისუფლება. პირდაპირი მნიშვნელობით, თავი გაქვს სამშობლოს სამსხვერპლოზე მიტანილი, იცი, რომ ხარ „ზვარაკი“, რომელიც, საჭიროების შემთხვევაში, აუცილებლად უნდა შეეწიროს სამშობლოს. ჩემი წილი სამშობლოს ტკივილი ძალიან დიდია, იმდენად დიდი, რომ ერთ ადამიანს მიჭირს მისი ტარება, თუმცა, ამავდროულად, ძალიან დიდი სიამაყეა. მე ვარ დიდტკივილიანი სამშობლოს შვილი, რომელსაც საქართველო ჰქვია. გაასკეცებულად სხვანაირად ვგრძნობ ამ ყველაფერს, როცა მუნდირი მაცვია, - ამბობს



ქალბატონი ნანო. მან მადლობა გადაუხადა მკითხველს, ოჯახის წევრებს, მეგობრებს უანგარო სიყვარულისთვის, დაუმადლებელი კომპლიმენტებისთვის, ემოციებისთვის, გულწრფელი ტაშისთვის და დასძინა, რომ მზად არის, ყოველთვის იდგეს მათ სამსახურში.

პოეზიის საღამოზე დამსწრე საზოგადოებამ დიდი სიყვარული გამოხატა პოეტისადმი. აღინიშნა, რომ იგი ჩვენი კუთხის გამორჩეული პოეტია, რომლის შემოქმედება განსაკუთრებული ემოციით ჰყვება სათქმელს.

- არ გახლავართ კრიტიკოსი და დეტალურად ვერ შევაფასებ ნანა შაინიძის პოეზიას, თუმცა მიმაჩნია, რომ ყველაზე დიდი კრიტიკოსი დროა. ის უზარმაზარ საცერში მოუყრის თავს თითოეული შემოქმედის ნაზრევ-ნაფიქრალს და აუჩქარებლად დაიწყებს გაცრას. არავინ უწყის, ვინ და რომელი შემორჩება საცერს. შემოქმედებას კიდევ ერთი შემფასებელი ჰყავს და ეს არის საზოგადოება, რომელიც ქვეყანაში წარმოადგენს უმრავლესობას. ლექსი, რომელიც ხალხში გაიდგამს ფესვებს, ცხადყოფს, რომ ავტორმა შეძლო და სწორად აამოძრავა კალამი. მე, როგორც რიგით მკითხველს, შემიძლია გავბედო და რამდენიმე სიტყვა ვთქვა ნანა შაინიძის პოეზიაზე. ის იმდენად მრავალმხრივი, საინტერესო ავტორი და პიროვნება გახლავთ, რომ ზღვა მასალას იძლევა საამბობად. სიმბოლურია, რომ მას ორი სახელი ჰქვია - ნანა და ნანო. მისი შინაგანი სამყაროც ორ ნაწილად არის გაყოფილი და მასში ორი „მე“ ცხოვრობს: ერთი „მე“ მელანქოლიკია, მეორე - სანგვინიკი. ვფიქრობ, რომ პირველი აჭარის რეგიონმა დაანათლა, მეორე - გურიის რეგიონმა. პირველის შემთხვევაში ის ფარდის გადაღმა ცრემლია, მეორე შემთხვევაში - ფარდის გადმოღმა იუმორი. ის მოხერხებულად აზავებს ერთმანეთში ცრემლსა და იუმორს, თუმცა ურთიერთობებში მისი იარაღი გურიიდან მოტანილი იუმორია და ასეთმა მიდგომამ მოიტანა ის, რომ მოკლე დროში თავი დაიმკვიდრა აჭარის რეგიონში და მოიპოვა ადამიანების სიყვარული. მისი პოეზიაც ორ ნაწილად არის გაყოფილი. არის როგორც კლასიკა, ასევე, ფოლკლორიც და ესეც მისი ორლესული ხასიათიდან გამომდინარე. შემთხვევითი არ იყო, რომ ის 2022 წელს, ზეპირსიტყვიერებაში, საქართველოს ფოლკლორის ეროვნული ფესტივალის პრემიის ლაურეატი გახდა. ნანა შაინიძის ლექსები მეტაფორებით, მხატვრულობით, სისადავითა და შინაარსობრივად არის დატვირთული. ვფიქრობ, ლექსს უნდა მოჰქონდეს გრძნობა, უნდა გიჩნდებოდეს დაზეპირების სურვილი და სათქმელი მარტივი გზებით უნდა აღწევდეს მკითხველის სულში. მიმაჩნია, რომ ნანა შაინიძის პოეზიას აქვს ეს ყველაფერი და შემოსილია ღვთიური მადლით. ამის დასტურად მისი რამდენიმე ლექსის წაკითხვაც კი საკმარისია. მაგალითად: „მემ“, „მატყუარა ლექსი“, „მარტოობის დირეგი“ და სხვა. მისურვებია დიდი მომავალი ძნელად სავალ ცხოვრებისა თუ პოეზიის ბოგირებზე, - გვითხრა მწერალმა ვახო გოგრაჭაძემ.

- ნანა ნანო შაინიძე არის უნიჭიერესი არა მხოლოდ როგორც პოეტი, არამედ როგორც მსახიობი, ხელოვანი. მან საინტერესო, შესაძლოა რთული, მაგრამ ღირსეული ცხოვრების გზა განვლო. ის საკუთარ ბედნიერებას, შემოქმედებას, სახეს, ღირსებასა და ცხოვრებას საკუთარი ხელით ძერწავს. მინდა მას წარმატება, ბედნიერება, წინსვლა, გამარჯვება და, რაც მთავარია, უსაზღვრო სიყვარული ვუსურვო, - აღნიშნა პოეტმა ბელა ქებურიამ.

აჭარის მწერალთა სახლის დირექტორის ლალი კონცელიძის თქმით, პროექტი „მწერლის საათი“ იძლევა შესაძლებლობას, მწერლებმა, პოეტებმა თავიანთი შემოქმედება კიდევ ერთხელ წარუდგინონ და გააცნონ მკითხველს. მან პოეტს წარმატებები უსურვა და აღნიშნა, რომ ნანა ნანო შაინიძე მაღალმთიანი აჭარის კულტურის მეცნიერია, რომლის სახელსაც არაერთი კარგი საქმე უკავშირდება.

არჩევანი, რომელმაც დღემდე მოიყვანა

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

ბათუმში, მწერალთა სახლში სტუმრობისას, ყურადღებას იპყრობს ერთი ჭარმაგი კაცი, გამორჩეული თავაზიანობითა და გულისხმიერებით. ეს ჯემალ სურმანიძეა - პოეტი, რომელსაც კულტურის სფეროში მუშაობის მდიდარი გამოცდილება აქვს. სწორედ ამის დასტურია მწერალთა სახლში მისი ნაყოფიერი საქმიანობა

არაერთი ლიტერატურული ღონისძიების სულისჩამდგმელი, კოლეგების ნიჭის დამფასებელი, გაწონასწორებული, საკუთარ ტკივილებზე ამაღლებული და სხვათა ჭირისა და ლხინის თანაზიარი - ასე ახასიათებენ მას კოლეგები და სიყვარულით, მადლიერებით მოიხსენიებენ. ეს პოზიტიური დამოკიდებულება უფრო გამოიკვეთება მასთან ბლიცინტერვიუში.

- ვინ ვარ მე?

- ჩვეულებრივი მოკვდავი ამქვეყნიური განცდებით, ვინც მუდამ ვალშია სამშობლოსთან, რაც ჩემს პოეზიაშიც აისახება... „ვერ ვაბრწყინეთ ივერია - შენი სუნთქვის ტრფიალი და მივდივართ იმაქვეყნად, ტვირთის თანაზიარნი“, - ვამბობ ერთგან ილიასადმი მიძღვნილ ლექსში.

- როცა განვლილ გზას გავცქერი...

- ვფიქრობ, რომ საკუთარ სინდისთან სიმართლის გზით ვიარე. ეს ბრწყინვალედ აქვს გადმოცემული ალექსანდრე ჭავჭავაძეს ერთ-ერთ თავის ლექსში, როცა დასძენს: „არ ვსდევ ჟამთა ცვლას, მე იგივე ვარ მარად და მარად“.

- არჩევანი, რომელმაც დღემდე მომიყვანა...

- მთელი ცხოვრება კულტურის სფეროს სამსახურს შევალიე, განსაკუთრებით დიდხანს საგამომცემლო საქმეს ვემსახურე, რამაც ჩემს პოეტურ ნიჭს ბოლომდე გამოვლენის შესაძლებლობა მისცა. ერთხანს აჭარის ტელევიზიაში ვიდეოარტების სახით ვახდენდი ქართველ კლასიკოსთა პოეტური ფრაზების ეკრანიზებას, ანუ ვაგრძელებდი იმ საქმიანობას, რაც ჩემი მოწოდებაა. ახლაც ასეა აჭარის მწერალთა სახლში მუშაობისას.

- დავდივარ, ვწუხვარ და მენანება...

- საწუხარს რა გამოლევს ამქვეყნად, მით უფრო, თუ შემოქმედი ხარ და ერის ტკივილი საკუთრად მიგაჩნია. ერთ-ერთ მაგალითად მოვიყვან ასეთ ჩემეულ ფრაზებს: „...წიგნის დახლქვეშ საძებარი თუმც არ გვიდგას ახლა ხანი, წამკითხველი შემოგვაკლდა, წიგნიერნი ვხდებით სხვანი და არ მაძლევს მოსვენებას ხვალ ვიქნებით, ნეტა, რანი, მერმისში რით იდიდგულებს ჩვენი ერდო, ჩვენი ბანი“. მართლაც, დასანანი იქნება, ქართველი ერის განსწავლულობა ასეთი წინააღმდეგობის წინაშე რომ აღმოჩნდეს.

- ვინ მიმაჩნია მღვიძარედ?

- „ადრე ამდგარსა კურდღელსა ვერ დაეწევა მწევარი“, - ნათქვამია ერთ-ერთ ხალხურ ლექსში, ანუ მღვიძარედ მიმაჩნია ადამიანი, ვინც დღეს აქტიურად და ხალისით იწყებს, მაქსიმალურად ახდენს საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაციას, საქმიანია და კომუნიკაბელური.

- როცა სკაბრეზულად მეტყველებენ...

- ვერ ვეგუები ასეთ გამონათქვამებს. კულტურულ და ინტელექტუალურ ადამიანს გინება და ბილწსიტყვაობა არ უნდა სჭირდებოდეს. ვფიქრობ, ადამიანები მას უფრო სისუსტის გადაფარვისთვის იყენებენ.

- რა გვაქცევს ადამიანად?

- უფალი ჩვენში, ის, რომ ადამიანი დარჩეს ღვთის ხატად და სახედ. ადამიანურ იერს გვმატებს, ასევე, თავაზიანობა და კეთილშობილება, სხვისი სატკივრის გაზიარება და გულწრფელობა, რაც გენეტიკურად უნდა მოგსდგამდეს. როგორც ტოლსტოი ამბობდა: „თუ შენი ტკივილი გტკივა, ადამიანი ხარ, თუ სხვისი ტკივილი გტკივა - კაცი“.

- წეს-ჩვეულებები - ჩვენი სარკე...

- წეს-ჩვეულებების დაცვა ადამიანის ერთ-ერთ მთავარ მოვალეობად მიმაჩნია. სხვაგვარად შეგვერყევა საძირკველი და დავკარგავთ თვითმყოფადობას, ამდენი ვაი-ვიშით რომ მოგვიტანეს დღევანდლამდე წინაპრებმა და უდავოდ, მნიშვნელოვანია ნებისმიერი ერისთვის.

- ჩვენ ბუნებაში ვართ და ის ჩვენშია...

- ჩემი პოეზიის ერთ-ერთი მასაზრდოებელი სწორედ ბუნებაა, რომელთან მიმართება იშვიათად თუ შემოიფარგლება ოდენ აღწერით. უმთავრესად, ბუნება ჩემი სულის მოძრაობის თანმხვედრია და იგი ცხოვრებისეულ მოვლენათა ჩემეული აღქმის თუ აღქმულის გამოხატვის პროცესშია ჩართული, ანუ იგი საზოგადოდ, რეალობის ნაწილია, სამშობლოსა და ცხოვრების ავისა თუ კარგის გამომხატველი და თანამონაწილე.

- კითხვა, რომელიც მუდამ თან მდევს...

- ამასაც ლექსად ვიტყვი: „...ჩვეულება ვერ დავძლიეთ ერთი - უცებ გვინდა სურვილების ახდენა, მაცოდინა, ამ ჯადოსნურ წრეში რამდენი ხნით გვიწერია დარჩენა?!“.

- სიყვარული აღგვამაღლებს...

- სწორედ სიყვარულია ადამიანურობის გასაღები, ჩვენ კი ერთმანეთის დამარცხების მოლოდინში ვართ დღენიადაგ. „დღეს მომხდური სახლში გვიზის (გაგრძელება ყოფილ ძიძის), ჩვენ კი ისევ ერთურთს ვკორტნით, რომ გავმართოთ ლხინი, ერთმანეთის დამარცხება ვადღეგრძელოთ ღვინით“ - ასე ვწერდი ერთგან სინანულით. ასე იქნება მანამ, სანამ ქიშპი და შური თვითმიზანია.

- წიგნი, რომელსაც დროდადრო ვუბრუნდები...

- ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხია“.

- ვინ მიმაჩნია კარგ მკითხველად?

- კარგი მკითხველია ის, ვინც წიგნს სიღრმეებში სწვდება და ნაწარმოების ღირებულების შეფასებისას ზედაპირულობას არ დაუშვებს, წიგნის წაკითხვის დასრულებისას საკუთარი თავისა და გარშემომყოფთა დანახვის უნარს გამოავლენს.

- როგორ დავაკვალიანებ ახალგაზრდებს?

- ყოფილიყვნენ შრომისმოყვარენი და მიზანდასახულნი. რაც შეიძლება მალე შეეგუონ დამოუკიდებელ ცხოვრებასა და მოვლენათა ცივი გონებით განსჯას, ყოველდღიურობაში დაიცვან ჯანსაღი ცხოვრების წესი, რაც ერთობ წაადგება როგორც მათ, ასევე ჩვენი ქვეყნის მომავალს.

- ბათუმი - ჩემი თვალსაწიერიდან...

- „ვერ შეატყობ ასაკს, ისე იმოსება, - კომპლიმენტით ამკობს ბათუმს სტუმარი, ადრეული გამახსენეს მიმოზებმა, ძველმოდური მორთვა გაუხუნარი“, - ასეთი ფრაზებით მოვეფერე ერთხელ ჩემს ქალაქს. სწორედ ამგვარია იგი ჩემი თვალსაწიერიდან - ძველმოდურიც და თანამედროვეც, ბავშვობიდან უცვლელი თანამგზავრი, რომლის ზრდასა და სიცოცხლის ხანგრძლივობას, ადამიანის არსებობისგან განსხვავებით, ზღვარი არ გააჩნია, ამიტომაცაა, რომ განშორების შემდეგ, მასთან მხოლოდ სულიერი დარჩენა თუ შეგვიძლია შესაფერისად. რაღა თქმა უნდა, არ ვიცი, რამდენად მიესადაგება ამ ცნობილ ინტერპრეტაციას ჩემი ეს სტრიქონები, მაგრამ დასასრულისთვის მაინც ვიტყვი: „სევდას მგვრის, როცა ჩემს ქალაქს შემოსავს ნისლის ბლონდები, უნისლოდ მისი არხილვა, რომ მელის, უფრო ვღონდები“.